№ 34
კვირა 10 თებერვალი 1902 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.
„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1902

ივერია

№ 34
კვირა 10 თებერვალი 1902 წ.
რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კაპ.
მეოთხეზედ—5 კაპ.

ექვთიმე ხელაძის სტამბის „ტელეფონი“ № 838

ტფილისი

1 თებერვლიდგან წლის დამლევამდე გაზეთი
„ივერია“
ღირს ცხრა მანეთი და ათი შაური (9 მ. და 50 კ.)
ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:
ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (ნიკოლოზის ქუჩა № 21) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებ. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა)
ქუთაისში:—ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზია.
ბათომში:—ხიდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოზის ქ. ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ)
ხონში:—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
შორაპანში—პართენ ნასიძესთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება ქუთაისსა და ხონში ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში.
საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“. ტელეფონი № 227.

კავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოების სადგურში იყიდება
ორი წლის ნამყენი ხეხილი
ვაშლი, მსხალი, ბალი, ატამი და ქლიავი საუკეთესო ჯიშისანი, ჰაჯი-ისმაილოღლის სანერგედგან. (3—6.—2).

◆ იაფ-ფასიანი წარმოდგენა ◆
ქართული თეატრი.
კვირას, 10 თებერვალს, 1902 წ.
ქართულის დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ
წარმოდგენილი იქნება
დაკლებული ფასებით
I
სამშობლო
ისტორიული დრამა 5 მოქ. დ. ერისთავისა
II
თაგვის ბრალია
კომედია 1 მოქმედ. გუნიასი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ლეჟავა, ნებიერიძისა, მდივანი. ბ-ნნი: გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, ურუშაძე, მირიანაშვილი, იმედაშვილი, სარჯველაძე, იორდანოვი, მოურავიშვილი.

დასაწყისი 8 საათზედ.
ფასები დაკლებულია.
მზადდება „მეფე ლირი“, „მალა ადმართს ხნავს“.

ექიმი
ვახტანგ ღამბაშიძე
წამლობს შინაგანს და საბავშო სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილის 9 საათიდგან 11-მდე და საღამოს 5 საათიდგან 7-მდე. რეუტის ქუჩა № 24.

იაკობ ზაქარიას ძე გძელიშვილი
ექიმი
წამლობს სიფილისს და შინაგან სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილით 9—12 საათამდე და საღამოთი 5—7 ს. აქვს შესახვევი მასალა. ავჭალის ქუჩა, № 85.

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მაღალაშვილი
იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათ.
ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა
ამით აცხადებს, რომ როინაშვილისეულ ფოტოგრაფიისთვის, რომელიც ღირს ქმნილია უმაღლეს იმპერატორებრივ ჯილდოსა, მოწვეულია ახალი გამგე. შეიძლება შეკვეთა ყოველგვარი ფოტოგრაფიულის სურათისა, რომელიც თავისს დროზე და გულმოდგინებით მზადდება. ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია, ხოლო მოსწავლეთათვის შეღავათიანი. ფოტოგრაფიას, რომელიც ყოველდღე ღია არის დილის 9 საათიდგან საღამოს 5 საათამდე, მრავლად მოეპოვება მუშტართათვის საქართველოსა და კავკასიის შესანიშნავის ადგილებისა, ტიპებისა, მოღვაწეთა და ძეგლთა სურათები.
(3—3)

ტყის უფროსის თანაშემწე
(Пом. Лѣснич.) რომელსაც, სპეციალურ ცოდნის გარდა, აქვს 12 წლის პრაქტიკა ტყეებისა და მამულების მოვლა-გამგეობისა და აგრეთვე მისი მეუღლე, გიმნაზია-დამთავრებული მასწავლებელი ქალი, ეძებენ შესაფერს ადგილს კერძო მემამულეებთან ადგილობრივ ან პროვინციაში. ადრესი „ივერიის“ რედაქცია. (3—288—3).

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
გ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. საკოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
უ. მ. ჩიქოვანი: 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ყელთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.
ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.
კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, თვალისა, ცხვირის ავადმყოფობისა.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.
საღამობით:
ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 ს. საქირურგო და კანისა.
ა. ნ. შაპაკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვინერიულ ავადმყოფობათა.
გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—7½ ს.
გ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაურია, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лечебница—д-ра Навасардіана
Тифлисъ, против. памят. Воронцову.

ტფილისის კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.
ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).
კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილით:
პ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.
მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ. გარდა ხუთშაბათისა და შაბათისა.
ე. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა 9—10 ს.
გ. გ. მაღალაშვილი. შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.
ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 ს.
ი. პ. ახალშენიშვილი. კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.
კ. მ. ელიოზიშვილი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა. 11—12 ს.
დ. ა. გედევანიშვილი. ნერვებისა და შინაგანი. 12—1 ს.
ა. გ. ბარსუკოვი. დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.
სტ. ა. ვოინო. ხირურგია. ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით 1—2 საათ.
გ. მ. ამბარდანოვი. სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.
საღამოთი:
ი. ნ თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.
ა. გ. მაღალაშვილი.—შინაგან და ბავშვებისა. 5—6 საათ.
გ. ს. დავიდოვი—ბავშვებისა და შინაგან სნეულებათა. 7—8 საათ.
კვირაობით:
გ. გ. მაღალაშვილი.—10—12 ს. შინაგან ამადმყოფობათა.

სადღეისო წერილები.

ერი და ეროვნული პრინციპი.

II

არ არსებობს ადამიანი საზოგადოდ, არამედ არსებობს კერძოდ ესა თუ ის კაცი—დავით, გიორგი, ირაკლი. არ არსებობს საზოგადოდ კაცობრიობა, არსებობს მხოლოდ ესა თუ ის ეროვნული საზოგადოება. ყოველი ადამიანი არის თავისებური პიროვნება და მასთან წევრი განსაზღვრულის ერისა; რასაკვირველია, იგი ადამიანი ამავე დროს არის რომელისამე სქესისა, წოდებისა, თუ კლასისა, ხელობისა, მაგრამ ჩვენ დღეს ამაზედ არა გვაქვს ლაპარაკი.

ადამიანთა თანასწორობა არ მოითხოვს, რომ ყველანი გაერთფეროვანდნენ, ყველანი ერთგვარნი შეიქმნენ, როგორც არ მოითხოვს იმასაც, რომ არსებობდეს „ერთი“ კაცობრიობა და არა ერთმანერთთან დაკავშირებულნი სხვა-და-სხვა ნაირი ჯგუფნი-ერნი. ქვეყანა უდაბნოდ გადაიქცეოდა, ჩვენი გონება გალატაკდებოდა, რომ სუყველანი სავსებით ვგვანდეთ ერთმანეთს. ცხოვრებას ავითარებს სხვა-და-სხვაობა, კაცობრიობა მიისწრაფვის სხვა-და-სხვაობისადმი, რაიცა სრულიად არ მოასწავებს გაერთიანების უარ-ყოფას: პროგრესსი ორ-ტოტად მიმდინარეობს, ტოტი სხვა-და-სხვაობის განვითარებისა და ტოტი გაერთიანების დამყარებისა.

საზოგადოდ ადამიანის ღირსება პირუტყვთან შედარებით ის არის, რაც, ცხოველურ ბუნების გარდა, ადამიანურიცა აქვს; ერთი ადამიანი იმდენად მაღლა სდგას მეორეზე, რამდენადაც მეტია ამ ადამიანში, გარდა საზოგადო ადამიანობისა, მისი საკუთარი პიროვნული თვისება-ღირსება; ყოველი ერი, გარდა საერთო თვისებათა, შეიცავს თავისებურს ეროვნულს განსხვავებას და ეს არის მისი ღირსება.

ადამიანი, რომელიც არ განსხვავდება მეორე ადამიანისაგან, სულიერად მკვდარია; ერი, რომელსაც არა აქვს განსხვავებული ღირსება, მოკლებულია შემოქმედებითს ნიჭს, უსულოა და უენო, არ ეკუთვნის ისტორიას...

—

დაუკვირდეთ ადამიანის სულიერ არსების გამოჩენას და გამოხატვას ცივილიზაციის ელემენტებში და ადვილად შეამჩნევთ ერთა შორის განსხვავებას, რომ ერთის ერის გონებრივი და ზნეობრივი თვისებანი, მგრძნობელობის და აზროვნობის წესნი განირჩევიან მეორეს თვისებათა და წესთაგან. საზოგადო ფაქტია, მაგალითად, რომ ფრანგები ცნობილნი არიან პატივმოყვარეობით, რაინდულის ხასიათით, ენტუზიაზმით, იდეალურისა და კაცობრიობისადმი სიყვარულით და სხ., რომ ინგლისელები არიან ეგოისტები, მხნენი, უდიერნი, უფრო ესწრაფვიან დამოუკიდებლობას და თავისუფლებას, ვიდრე თანასწორობას და ერთობას. ვინ არ იცის, რომ ერთი და იგივე მოვლენა ერთგვარად არ ჰმოქმედებს სხვა-და-სხვა ერზე. „მე ვნახე ერთი და იგივე ოპერა ინგლისსა და იტალიაში, ამბობს მონტესკიე; ერთი და იგივე პიესა, ერთი და იგივე არტისტები, მაგრამ სულ სხვანაირად იმოქმედა ერთმა და იმავე მუსიკამ ინგლისელებზედ და სხვა ნაირად იტალიელებზედ“.

ერთა კლასიფიკაციაც შეიძლება სულიერ თვისებათა მიხედვით ისე, როგორც ცხოველთა გვარისა ანატომიურ თვისებათა მიხედვით. ამ თვისებას შეჰქმნის და იცავს არსებობის ერთნაირი ვითარება, შეაგროვებს მემკვიდრეობა და დრო და ჟამი, რომელიც ბოლოს და ბოლოს მისცემს მას გამორკვეულსა და მტკიცე ხასიათს.

არსად არ გამოიხატება ეროვნულის სულის განსხვავება ისე, როგორც იმ ცვლილებაში, რომელსაც მიიღებს ხოლმე ერთი და იგივე დაწესებულება სხვა-და-სხვა ერთა შორის. ჩინეთში გადატანილი ბუდიზმი იმდენად უცნობელი შეიქმნა, რომ პირველად მეცნიერებს განსაკუთრებული, დამოუკიდებელი მოძღვრება ეგონათ; ბევრი დრო და შრომა დასჭირდათ, ვიდრე გამოიკვლევდნენ, რომ ეს იყო მხოლოდ სახე-შეცვლილი ბუდიზმი. ინდოეთში ბუდას სარწმუნოება შეიქმნა მხოლოდ სხიზმად მისის წინასწარის ბრამინიზმისა, რომლისაგან იგი ძლიერ ცოტათი განსხვავდება და თვითონ ინდოეთში ერთის ტომის ბუდიზმი არა ჰგავს მეორე ტომის ბუდიზმს. არაბეთის, სპარსეთისა და ინდოეთის მაჰმადიანთა შორის დიდი განსხვავებაა. ალჟირში სცხოვრობს ორი ხალხი—ბერბერები (კაბილები) და არაბები, ორივენი მაჰმადიანები არიან, მაგრამ ისლამი სხვა-და-სხვანაირად შეუთვისებიათ; ყორანის პოლიგამია ბერბერებმა მონოგამიად შესცვალეს; მათი რელიგია წარმოადგენს მაჰმადის რჯულის და ძველის წარმართობის შეერთებას. ბერძნებმა და სპარსელებმა ხელოვნება გადმოიღეს ეგვიპტედგან ან ეგვიპტესა და ასსურეთიდგან, მაგრამ, თუმცა ერთი და იგივე წყარო აქვთ, ათინური ნაშთები ძლიერ განირჩევა პერსეპოლისის ნაშთებისაგან. როდესაც არაბებმა დაიპყრეს ბერძენ-რომაელთა ქვეყანა, შეითვისეს ბიზანტიური არქიტექტურა და შეუცვლელად განავრცელეს ყველა მათ მიერ დაპყრობილს ქვეყანაში; შემდეგში ეს არხიტექტურა სხვა-და-სხვა ადგილებში სხვა-და-სხვანაირად შეიცვალა და ეხლა ისპანიის, სპარსეთის, ინდოეთისა და სირიის ნაშთები იმდენად განსხვავდება ერთმანეთში, რომ ყოვლად შეუძლებელია მათი ერთის საზოგადო სახელით შეერთება.

უფრო გადაჭრით შეგვიძლიან შევუფარდოთ ჩვენი აზრი ახალს დროს, როდესაც ეროვნებას და ეროვნულს თვისებას მეტი გამორკვეული და მტკიცე ხასიათი აქვს. ევროპაში იესოს დოგმატები ყველგან შეუცვლელი დარჩა, მაგრამ ეგ მხოლოდ ფორმულებია, რომელთა აზრი და შინაარსი ყველას თავისებურად ესმის. ქრისტეანების სახედ ჩვენ ვხედავთ ნამდვილს ფეტიშისტებს—ისპანიელებს, რომლებიც აღმერთებენ თილისმებს (ამულეტებს), პოლითეისტებს—იტალიელებს, რომლებიც აღიარებენ სხვა და სხვა ღმერთებად სხვა და სხვა სოფლის მადონებს და სხ. თითქმის ყოველმა განათლებულმა ერმა პარლამენტი ინგლისიდგან გადმოიღო, მაგრამ თავისებურად შესცვალა. ბევრის ერისათვის იტალია მუსიკის და მხატვრობის სკოლაა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყოველს ერს თავისი ეროვნული ხელოვნება აქვს.

სხვა და სხვა ერმა არა ერთნაირი ნიჭი გამოიჩინა შემოქმედებისა ცივილიზაციაში: საბერძნეთმა შეჰქმნა სკულპტურა, რომმა—უფლება, ინგლისმა პარლამენტი, იტალიამ მხატვრობა; თუმცა არ არსებობს ეროვნული მეცნიერება, მაგრამ ერთს ერში უფრო განვითარებულია ერთი მეცნიერება, მეორეში-მეორე. ერთი ერი უფრო ერთს მეთოდს მისდევს, მეორე უფრო მეორეს. „ისე კარგად არსად არ გამოიხატება ეროვნული განსაკუთრებული თვისებანი, როგორც მეთოდთა განსხვავებაში, ამბობს ფულიე: ყოველი ერი მსვლელობს საკუთარის გზით“.

ეჭვი არ არის, არსებობს თავისებური ეროვნული გონება და ხასიათი. ფიზიკურის ვითარების სხვა და სხვა გვარობა იწვევს სხვა და სხვა გონებრივს ვითარებას და ორივეს ურთიერთი ზედგავლენა ჰბადებს სხვა-და-სხვა გვარს გონებრივს და ზნეობრივს ტიპებს.

ეროვნულ თვისებათა ფაქტორების განხილვას შევუდგებით ახლა.

მაგრამ მანამდე შევნიშნავთ, რომ ვიდრე ფაქტორები დაიწყებდეს მოქმედებას, საჭირო იყოს ის ობიექტი, რომელზედაც იმოქმედებს ესა თუ ის ფაქტორი, საჭიროა ადამიანთა შეკრება, შეჯგუფება ერთს ალაგას.

უეჭველია, ჯერ კიდევ ისტორიის წინა დროს ერთად სახლდებოდნენ მონათესავენი, ერთის წინაპირისაგან შთამომავალნი. როდესაც ძლიერ გამრავლდებოდნენ და ერთად მათი ცხოვრება შეუძლებელი შეიქნებოდა, განიყოფებოდნენ და ერთი ნაწილი სხვა ალაგას დაბინავდებოდა. შეიძლება, საერთო მტრის მოსაგერებლად ან საერთო საგნით (როგორც ეგვიპტეში ნილოსით) სარგებლობისათვის ერთი ხალხი შეერთებოდა მეორეს, ნათესავს თუ უცხო ხალხს. ან ერთი ტომი დაიპყრობდა, დაიმონებდა მეორეს; ამ უკანასკნელს შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებას, თუ სად სცხოვრებდა რომელიმე ტომი: თუ მიუვალ მთებში სცხოვრებდა, ადვილად შეეძლო თვით არსებობის დაცვა, და თუ მიწის მუშა იყო, მინდვრად სცხოვრებდა და მეზობლად ომის მოყვარე ნომადები ჰყავდა, მაშინ ძნელი იყო მისთვის საკუთარი არსებობა. მოხდებოდა ისეც, როგორც საშუალო საუკუნოებში და ახალს დროშიც, რომ ერთი ტომი, თუ მისი ნაწილი მემკვიდრეობით უერთდებოდა მეორე ტომს, ან როგორც ბატონის—მეფის ქალის მზითევი, ან როგორც საჩუქარი, გადადიოდა უცხო ტომის სამფლობელოში. ვიდრე კულტურა დაბალს საფეხურზე იდგა, ადამიანური თავისუფლება და პირადული ღირსება არ იყო განვითარებული, დიდი უმრავლესობა მხოლოდ ნივთი იყო და არა ზნეობრივი არსება, არსებობდნენ ტომნი და თემნი, ერი კი ჯერ არსად იყო,—ტომთა შერევა და დანაწილება ადვილად სწარმოებდა. ტომი მალე ჰკარგავდა საკუთარს, ჯერ კიდევ განუმტკიცებელს და არ გართულებულს, თავისებურობას. ადამიანი არ წარმოადგენდა პიროვნებას (თუ წარმოადგენდა, ძლიერ სუსტს) და თუ უცხო მთავრობა გარეშე მტერს მოაგერებდა და შინაური მტრები-ბატონები ნამეტანს არ აწუხებდნენ უზომო გადასახადებით, სხვას ყველაფერს ადვილად იტანდა და ითვისებდა...

ასე თუ ისე, უნდა იყვნენ „ერთად შეკრებილნი“ ადამიანნი, უნდა იყოს სახელმწიფო და მაშინ განსაზღვრულ ძალთა მეოხებით შეიქმნება ერი.

კალამი.

მიწის ძვრის ამბები.

შემახა.

⁂ შემახის მიწის ძვრის შესასწავლად რუსეთის ტეხნიკურ საზოგადოების ბაქოს განყოფილება ჰგზავნის შემახაში სპეციალისტების ექსპედიციას, რომელიც გუშინ, 9 თებერვალს, უნდა წასულიყო ბაქოდგან. ვულკანი გაჩნდა, გარდა სოფ. მარაზისა, აგრეთვე სოფელს ასტრახანკაში, შემახიდგან 20 ვერსზე.

⁂ შემახის ნანგრევთა თხრას ვერ ასდიან ჯარის-კაცნი და იქაური მუშები. საჭიროა ორი ამდენი მუშა. ნანგრევთა ქვეშ მოქცეულია ადამიანთა მსხვერპლთ გარდა, აგრეთვე აუარებელი საქონლის ლეში. აუტანელი მყრალი სუნი დგას მთელს ქალაქში. გამოჩნდნენ ისეთნიც, რომ სძარცვავენ მკვდრებს. დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტმა ითხოვა, რომ მეტი ჯარი გაგზავნონ შემახაში ნანგრევთა გადასათხრელად და ნება-დართულ იქმნას ხელის მოწერის გამართვა მთელს კავკასიაში დაზარალებულთა სასარგებლოდ. თხოულობენ აგრეთვე, რომ უმაღლესად ნაბოძები 50,000 მანეთი ეხლავე დაურიგდეს დაზარალებულთ, რომ ამითი ცოტა მეტი სალსარი ჰქონდეთ, ნანგრევებიდგან ამოიღონ, თუ რამ გადარჩა მათის ქონებისაგან.

⁂ გუშინ, თებერვლის 9-ს, კავკასიის მთავარმართებელი თ. გ. ს. გოლიცინი საღამოს მატარებლით უნდა გამგზავრებულიყო შემახაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულ ქალაქისა და სოფლების დასათვალიერებლად.

ახალი ამბავი

⁂ 7 თებერვალს ქალაქის სასკოლო კომისიამ უმთავრესი ყურადღება მიაქცია ტფილისში ოთხ-კლასიან სასწავლებლის დაარსების საქმეს. ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილი ჰქონდა ამ ოთხ-კლასიან სასწავლებლის დაარსებისათვის გადაედვა 8,000 მანეთი ყოველ წლიურად იმ პირობით, რომ ამ სასწავლებელში მიეღოთ მხოლოდ ქალაქის პირველდაწყებითს სკოლებში კურს-დამთავრებულნი. საბჭოს გარდაწყვეტილება დასამტკიცებლად

გადაეცა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს, რომელმაც არ მოიწონა თვით-მმართველობის პროექტი და მოითხოვა სასწავლებელთან დაეარსებინათ აგრეთვე ორი მოსამზადებელი კლასი (საქალაქო პირველ-დაწყებით სკოლების კურსით). ამ ნაირს სასწავლებელში მოწაფეს მოუნდება ექვსის წლის სწავლა. ნორმალურ შტატებით ასეთის სასწავლებლების ხარჯად დადგენილია 4,595 მან., ბინის დასაქირავებელ ხარჯს გარდა. ხოლო რადგანაც ეს შტატები ამ ჟამად, ცოტა არ იყოს, მოძველებულია და აწინდელს დროს არ შეეფერება, ოლქის მზრუნველმა ითხოვა სასწავლებლის ყოველ-წლიურ ხარჯად გადაედვათ 7,175 მანეთი, გარდა სახლის ქირისა (1,500—2,000 მან.) და სხვა წვრიმალ ხარჯებისა. სასკოლო კომისიამ განიხილა ყოველივე მოხსენებული გარემოება და დაადგინა: დაარსებულ იქმნას საქალაქო ოთხ-კლასიანი სასწავლებელი საბჭოსაგან შემუშავებულის ტიპისა, ოთხის წლის კურსით. ამ სასწავლებელში უნდა დაასრულონ განათლება ქალაქის პირველ-დაწყებითს სკოლებში კურს-დამთავრებულებმა.

⁂ კავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოება ჰფიქრობს ხელ-ახლად შემოიღოს საუბრები სასოფლო მეურნეობის სხვა-და-სხვა დარგის შესახებ. რამდენისამე წლის წინად ხშირად ჰმართავდნენ ასეთს საუბრებს და დიდ-ძალი ხალხიც ესწრებოდა.

⁂ მიწათ-მოქმედების სამინისტრომ შეიმუშავა დაბალისა და საშუალო სასოფლო მეურნეობის სასწავლებელთა გადაკეთების პროექტი. ამ პროექტით სწავლების პროგრამა თეორეტიულ საგნებისა უნდა გავრცელდეს საშუალო სამეურნეო სასწავლებელში. კურს-დამთავრებულთ ისეთივე უფლება მიეცემათ, როგორც რეალურ სასწავლებლებისას. სხვათა შორის, მათ ექნებათ მეორე ხარისხის შეღავათი სამხედრო ბეგრის მოხდის დროს და მოქალაქობის უფლება.

⁂ დღეს, 11 თებერვალს, ქართულ თეატრაში დაკლებულის ფასებით წარმოდგენილი იქმნება ისტორიული დრამა „სამშობლო“ დ-ვოდევილი „თავვის ბრალია“.

⁂ პარასკევს, 8 თებერვალს, ტფილისში სამს ადგილას გაჩნდა ცეცხლი: 1) პანასევიჩის ქუჩაზე, გუკასოვის სახლში, სადაც ცეცხლი შეგროვილმა ხალხმა გააქრო, 2) ყიფიანის ქუჩაზე, მარცვალოვის სახლში, სადაც ორმა კაცმა გააქრო ცეცხლი და 3) დიდ ვოდოვოზნი ქუჩაზე ჩითახოვის სახლში, სადაც აგრეთვე შინაურ საშუალებით გააქრეს ცეცხლი.

⁂ რედაქციამ მიიღო № 2 „საქართველოს საექსარხოსოს სასულიერო მოამბისა„ რუსულსა და ქართულს ენაზე. აი, შინაარსი ამ ნომრისა: ოფიციალური ნაწილი. უმაღლესი ჯილდო. უქაზი ხელმწიფე იმპერატორისა სინოდის მიმართ. საქართველოს ეპარქიალურ მთავრობის განკარგულება. წერილი ჟურნალისა „Руководство для сельскихъ пастырей“ ექსარხოსის სახელზე. რედაქციისაგან განცხადება. არა ოფიციალური ნაწილი. მისის მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობის ექსარხოსის ალექსის სიტყვა, თქმული იანვრის 4 ამ 1902 წ. სიონის საკრებულო ტაძარში. სიტყვა წმ. ნინოობა დღეს წარმოთქმული და სხვ.

⁂ „ტფილისის ფურცლის“ სიტყვით, ჩვენის თავად-აზნაურობის დეპუტაცია ამ თვის 15 მოელიან პეტერბურგიდგან ტფილისს.

⁂ ამ თვის 7-ს ქალაქში ჩამოვიდა სომხეთა კათალიკოსი მკრტიჩ I.

⁂ რედაქციამ მიიღო ჟურნალ „მოამბის“ ამ წლის I № შემდეგის შინაარსისა: „I. სიკვდილის წრე“ (ამბავი მარკ. ტვენისა), თარგმნილი ალ. საათაშვილისაგან. 2) ⁂ ლექსი პუშკინისა, თარგმ. კონ. ნიკოლაძისაგან. 3) ცოდვა (სცენები) აზიანისა. 4). ირლანდია მეცხრამეტე საუკუნეში, არჩილ ჯორჯაძისა. 5). უცხოეთი 1901 წელს. 6). დამატება. ფიზიოლოგია დ—რის ფოსტერისა, (დასასრული) თარგმანი ი. ს. ფანცხავასი და 7) ევა, რომანი ჯიოვან ვერგასი, თარგმ. ალ. წინამძღვრიშვილისა.

⁂ ვერაზე სასულიერო სემინარიისათვის ახალ შენობის იჯარადარმა უნდა ააგოს სემინარიის ეზოში მეორე შენობაც, რომელშიაც უნდა მოთავსდნენ სემინარიის ყველა მასწავლებელნი, ზედამხედველნი და მათნი თანაშემწენი. ყველა მათგანს, ცალკე სადგომს გარდა, ექნებათ აგრეთვე ცალკე მისავალი და ეზოები. სემინარიის მთავარს შენობას მიშენებული ექნება ცალკე შენობა ერთ-კლასიან სამაგალითო სკოლისათვის. სკოლის მასწავლებელს ბინა ამ სკოლაშივე ექმნება.

⁂ იანვრის განმავლობაში ტფილისში, პოლიციის ანგარიშით, მომხდარა სულ: 20 ქურდობა, თერთმეტს შემთხვევაში ქურდები დაუჭერიათ; ერთხელ განუზრახავთ კაცის გაძარცვა; 3 კაცი მოულოდნელად გარდაიცვალა; 1 კაცის მოკვლა განუზრახავთ; 2 დაუჭერიათ, გაუძარცვავთ; 2 უბედური შემთხვევა ყოფილა; 1 სიყალბე და 1 შემთხვევა ეტლის გაუფრთხილებლად ტარებისა.

⁂ იყალთოდგან (თელავის მაზრა) გვწერენ, აქაური წიგნთ-საცავი ოთხი წელიწადია რაც არსებობს, მაგრამ წიგნების შეკრებისა და მკითხველების გამრავლების ნაცვლად თან-და-თან უკუღმა მიდის მისი საქმე. სასურველია გამგეებმა ცოტა მეტი სიმხნე გამოიჩინონ ამ ერთად-ერთს საზოგადო მნიშვნელობის საქმეში..

კახელ მევენახეთა საზოგადოების წარმატება.

კახელ მევენახეთა საზოგადოება უპირველეს ყოვლისა სავაჭრო დაწესებულებაა და მისი აზრი უნდა იყოს კერძოობითი სარგებლობა, ანუ სარგებლობა მემამულეთა იმ ჯგუფისა, რომელსაც შეუდგენია და დაუწესებია საზოგადოება. ამისათვის შეიძლება ამ დაწესებულებას მევენახეთა სინდიკატიც ვუწოდოთ, სხვა რამ სახელიც დავანათლოთ, მაგრამ ამავე დროს არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ეს დაწესებულება თავისის მოქმედების ნაყოფიერებით მთელის კახეთისათვის საზოგადო მნიშვნელობის დაწესებულებაა. მართალიამ იგი თავისს მოგებას ყველა კახელს არ უყოფს; მართალია, ყველა კახელის ღვინოს არ ასაღებს, მაგრამ ისიც მართალია, რო, მან კახეთის დიდ-ძალ ღვინოს მოუპოვა ბაზარი. წელიწადში 50-ათას ვედრომდე ღვინისათვის ბაზრის უზრუნველ-ყოფა დიდი საქმეა მთელის კახეთის მევენახეობისათვის, რაიცა უმთავრესი წარმოებაა მთელის კახეთის მცხოვრებლებისათვის. თუ დღევანდლამდე კახურმა ღვინომ შეინარჩუნა ის ფასი, რომელსაც თუმცა მევენახის ეკონომიურად დაწინაურება არ შეუძლიან, მაინც არც იქამდის მიჰყავს, რომ ამ წარმოებას სხვა ადგილობრივი წარმოება ამჯობინოს, ამის მთავარ მიზეზად უნდა ჩაითვალოს კახელ მევენახეთა საზოგადოება.

ჩვენ არას ვიტყვით იმაზედ, რომ კახურ ღვინის ფასის დაწევის ერთი მიზეზთაგანი იყო და არის განჯისა, ერევნისა და სხვა ღვინის კახურის სახელით გასაღება. ამაზედ იმდენი ითქვა და დაიწერა, რომ ახლა თვით ღვინის მუშტარიც დაჯერებულია, სად უნდა ეძებოს ნამდვილი კახური ღვინო, დაჯერებულია, რომ ნამდვილი კახური მარტო კახელ მევენახეთა საზოგადოებაში შეიძლება შეიძინოს. მართალია, სასტუმროებში, კლუბებში და სხვ. ხშირად შეჰხვდება, რომ კახელ მევენახეთა საზოგადოების სახელით სხვა ღვინო მოაქვთ; სხვა ღვინოს ასაღებენ სასტუმროს პატრონები და კლუბის მებუფეტენი, მაგრამ ეს სიყალბე, სიხარბის პირმშო შვილი,—სამუდამოდ ვერ აუხვევს მუშტარს თვალებსა; იმას შეუძლიან თვით საზოგადოებისაგან შეიძინოს ნამდვილი კახური ღვინო.

ხსენებულ მიზეზს კახურის ღვინის ფასის დაცემისას ამ უკანასკნელ ათს წელიწადში სხვა მიზეზიც დაესართა. ეს მიზეზი გახლდათ კახურ ღვინის ახალი გამდლები, რიცხვით ორი: ა) სოფელში დაბინავებული, რომელიც გლეხებიდამ ყურძნად, ტკბილად და მაჭრად ჰყიდულობს, აგროვებს ერთს ადგილას, ამზადებს გასასყიდად; ბ) წოდებული ფეხზედ მოვაჭრედ, რომელსაც თავისის ჰურჭლით ღვინო მიაქვს ტფილისში, ბაქოში, ბათუმში და სხვ. და აძლევს სირაჯებს, მიკიტნებს და სხვ. ამ ნაირად სამის ვაჭრის ხელში უნდა გაიაროს კახურის მომეტებულმა ნაწილმა, ვიდრე მუშტრამდე მიაღწევდეს.

ამ გამდლებს გაყოფილი აქვს კახეთი სამოურაო ნაწილებად და თვითეული, გაბატონებული თვის სამოურავოში, ამცირებს ფასს, რამდენადაც-კი შეუძლიან. ამათმა მოქმედებამ, კახელ მევენახეთა საზოგადოების დაარსებამდე, ერთი ბოთლი ღვინის ფასი 3 და 4 კაპეიკზედ ჩამოიყვანა. დაარსდა კახელ მევენახეთა საზოგადოება და გლეხთა[1]. ერთის ბოთლის ღვინის ფასი 5 კაპიკამდე ავიდა. რასაკვირველია, ზვრის[2] ღვინოებმაც შესაფერად მოიმატა ფასი. ეს უცებ არ მომხდარა. თვით კახელ მევენახეთა საზოგადოება პირველ ორ-სამ წელიწადს სუსტი იყო, მაგრამ მალე გაძლიერდა.

შესანიშნავია ამ საზოგადოების თანდათანობითი გაძლიერება და ამიტომაც აქ მოვიყვან ამ გაძლიერების სქემას დაარსებიდამ დღევანდლამდე:(ნახე წერილის ბოლოზე).

ამ გზით თუ ივლის საზოგადოების გაძლიერება, ახლო მომავალში მთელის კახეთის მევენახეთა უმეტესობა წევრი იქნება მისი და მოსავლის უმეტესი ნაწილი უზრუნველ-ყოფილი ბაზრის შესახებ. რასაკვირველია, მოსავლის დანარჩენი ნაწილი უფრო ადვილად და მწარმოებელთა სასარგებლო პირობით მოიპოვებს მსყიდველსა. ეს ერთი კერძოობა ამ დაწესებულების საზოგადოებრივის ხასიათისა.

ამავე დაწესებულებას, როგორც სავაჭრო დაწესებულებას, აქვს მეორე კერძოობა, უფრო მეტად საზოგადოებრივი. ეს გახლავთ ენა, რომლის შესახებაც იგი თავისუფალია და დამოუკიდებელი, აქ მხრივ ამ დაწესებულებას შეუძლიან გაუწიოს დიდი სამსახური სამშობლო ენას. პირველი მერცხალი ამ სამსახურის გაწევისა უკვე „დავძლიეთ“.

მე მოგახსენებთ 6 იანვრის კრებაზედ, როცა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ თ-დმა სიმონ რევაზის ძემ ვახვახიშვილმა წლიური ანგარიში თავით-ბოლომდე ქართულად მოახსენა კრებას. თქმა არ უნდა, ანგარიშის მოხსენება თ-დის ვახვახიშვილისათვის ადვილი იყო იმ ენაზედ, რომელზედაც დაწერილი იყო; სხვა ასეც მოიქცეოდა, სიკვდილს ამჯობინებდა, დასაცინს მდგომარეობაში არ ჩაიგდებდა თავს, ანუ ერთისა და ორის ბორძიკის შემდეგ, რომელსაც წევრთა შენიშვნებიც მოჰყვა—რაზედ იჭირებ საქმესო, ვეღო, რუსულად წაგვიკითხეო და სხვანი—ქართულად კითხვას თავს დაანებებდა, მაგრამ მან სამის სიტყვით გასცა პასუხი და გააჩუმა მოკიჟინენი: „ეს სკოლა იყოსო“.

მართლაც ქართულის ენის სკოლად გადიქცევა საზოგადოების კრება თუ გამგეობა ამ გზას ბეჯითად დაადგება შემდეგისათვის.

საზოგადოებამ თვით კრებას მოანდომა 20 საათი. რაც ამ დროს განმავლობაში მოჰხსენდა კრებას, მცირე ნამუშავარს არ წარმოადგენდა, სულ უკანასკნელი იგი ნაყოფი იყო ათჯერ მეტის დროის მუშაობისა. წარმოვიდგინოთ, რომ გამგეობა შეერთებული სარევიზიო კომიტეტის წევრებთან და ყველა მათგანი თვითეულად მუშაობენ და მსჯელობენ საზოგადოების შესახებ ყველა საგნებზედ ქართულად, ამავე ენაზედ სწერენ მოხსენებათ, რომელნიც საზოგადო წლიურ კრებაზედ განიხილებიან, სადაც ქართულადვე დაიწყებენ კამათობას,—განა, ეს კარგად მოწყობილ სკოლას რითიმე ჩამოუვარდება? განა ასე მოწყობილი საქმე სამშობლო ენის საუნჯეში ფრიად თვალ-საჩინო წვლილს არ შეიტანს?

გარდა იმისა, რომ დავიწყებული გვაქვს მრავალი სავაჭრო ტერმინები, რომელთა აღდგენა და ხმარებაში შემოტანა დიდი ღვაწლია, ამაზედ ნაკლები არ არის ახალ, საჭირო ტერმინების მიღება და საყოველთაოდ ხმარება.

ამასთანავე საზოგადოებას ნება-უნებურად უხდება სამეურნეო საკითხებზედ მსჯელობა, სამეურნეო იარაღების დაწვრილებით აწონდაწონა. პირველიც და მეორეც ეხება საბუნების-მეტყველო მეცნიერებას, რომლის შესახებ ქართულად წერის და კამათის საჭიროება მრავლისაგან მრავალს დავიწყებულ სიტყვებს აღადგენს, მრავალს ახალს სიტყვას დაამკვიდრებს ენაში. თვით კამათობაში ვარჯიშობა, იმ კამათობაში, რომელსაც შინაარსად ყველი და პური-კი არ ექმნება საგნად, როგორც დღევანდლამდე მთელ ქართველობაში, არამედ ექმნება იმისთანა საგნები, რომელიც მოკამათისაგან მოითხოვს შესწავლას, დაკვირვებას, მომზადებას; ამისთანა ვარჯიშობა, გარდა იმისა, რომ ენას გასწმენდს ყოვლისა მწიკვლისაგან, გააცხოველებს ეროვნულს თვითცნობიერებასაც.

დიახ, ამ მხრივ კახელ მევენახეთა საზოგადოებას საერთოდ და კერძოდ ამ საზოგადოების გამგეობას და სარევიზიო კომიტეტს არა მცირედის სამსახურის გაწევა შეუძლიან სამშობლო ენის წინაშე. ამ სამსახურს დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს.

გულ-წრფელის მადლობის ღირსია თ-დი ს. რ. ვახვახიშვილი, რომელმაც პირველი ნაბიჯი უკვე გადადგა (6 იანვარს) ამ დიდად სასარგებლო, თუმცა საძნელო გზაზედ. იმედი გვაქვს გამგეობა და კომიტეტი მედგარის ბეჯითობით დაადგება ამ გზას, ეცდება ყოველ დაბრკოლების დაძლევასა და გამარჯვებული წარსდგება ერთის წლის შემდეგ საზოგადო კრების წინაშე.

წელიწადები	რიცხვი ამხანაგთა	საზოგადოების კუთვნილი ვენახების სივრცე დესეტინობით.	რაოდენობა ღვინისა ვედრობით.	რაოდენობა გაყიდულის ღვინისა ვედრობით.	ღირებულება გაყიდულ ღვინისა.		სავაჭრო და სათადარიგო თანხები.		შ ე ნ ი შ ვ ნ ა:
1894	17	183	22834	17937	60671	91	—	—	ანგარიში 1 იანვრიდგან 1 იანვრამდე.
1895	31	298	27345	19757	64963	12	12455	31	ისევ იანვრიდამ იანვრამდე.
1896-97	67	$522\frac{1}{3}$	29457	24199	116104	04	21827	31	2 იანვრიდამ 1896 წ. 1 აგვისტომდე 1897 წ., ე. ი. 19 თვისა.
1897-98	69	$540\frac{1}{2}$	27122,2	21439,1	102791	62	31029	76	აგვისტოს 1-დგან აგვისტოს პირველამდე.
1898-99	86	$618\frac{1}{2}$	53566	27255	119189	10	48773	—	
1899-1900	86	$567\frac{1}{6}$	37129	35058	120467	20	54262	66	
1900-1901	109	687	51422	50868	198484	65	84405	06	

ნადიკვრძლი.

---

[1] ჩვენ აქ ვგულისხმობთ იმ გლეხთა უმრავლესობის ვენახებს, რომელთაც თვითო დღიურისა და დღიურზედ ნაკლების სივრცის ვენახები აქვთ.

[2] ოთხის დღისა და მეტის სივრცის ვენახებს ზვრებს ეძახიან. ამისთანა ვენახების უმეტესი ნაწილი თავად-აზნაურობისაა, ნაწილი ვაჭრებისა და ნაწილი—გლეხებისა და სამღვდელოებისა.

ყაჩაღის ალექსანდრე ლორთქიფანიძის საქმე.

(წერილი ქუთაისიდგან)

7 ამ თვეს დაიწყო ოლქის სასამართლოში ტფილისიდგან საგანგებოდ ჩამოსულმა სამხედრო სასამართლოს სესიამ გარჩევა იმერეთში ამ უკანასკნელ ხანების კარგად ცნობილ ყაჩაღის ალექსანდრე ლორთქიფანიძის საქმისა. ამ საქმესთან ერთად ირჩევა მისის ამხანაგების —ექვსის კაცის და ერთის ქალის საქმეებიც. დამნაშავენი ყველანი თავად-აზნაურნი არიან. როგორც საბრალდებლო ოქმიდგან სჩანს, ამ ხალხს ჰბრალდებათ ა. ლორთქიფანიძის მეთაურობით მრავალი თავდასხმა და ძარცვა-გლეჯა იმერეთში და აგრეთვე ტფილისის გუბერნიაშიაც. სხვათა შორის, ა. ლორთქიფანიძეს (24 წლის ახალგაზრდას), ი. აგიაშვილს, გ. და ი. წულუკიძეებს და ეგიაზარ დუდუჩავას (სა-

---

ფელეტონი

„უკვდავი“

(ლეგენდა)

(დასასრული).

ძლიერი და გამომეტყველი იყო მარიამის თვალში ეს აღფრთოვანებული სიტყვა დაფნით მოსილისა და, რაც უფრო მეტს ლაპარაკობდა იგი, მთელ მისს არსებას აღმაფრენა ერთი-ორად ემატებოდა... თვალებიდგან გამონაკრთობი ღვთაებრივი შუქი და გრძნობით გაღელვებული მისი ხმა ჰაერში თითქოს ერთმანეთს ეთვისტომებოდნენ და ხორც-შესხმულნი ზეცისაკენ მიფრინავდნენ. მარიამი მთლად მოხიბლა ამ უკვდავების წყაროსავით მოჩუხჩუხე ლაღადისმა... მას სრულიად დაავიწყდა, რომ მის წინაშე სხვა ორი მოჩვენებაც იყო და მხოლოდ დაფნით მოსილს-და ჰხედავდა... მაგრამ თითონ მათ გაახსენეს თავიანთი აქ ყოფნა, რადგანაც ორივემ ერთად დაიწყეს ლაპარაკი.

ორივენი ამტკიცებდნენ, რომ თითოეული მათგანი იყო სათავე და დასასრული ბედნიერებისა, იმ ბედნიერებისა, რომელშიაც მწუხარება როდი იქნებოდა ნარევი. ეგ-კიო, ამბობდნენ ისინი და უჩვენებდნენ დაფნით მოსილზე, ტანჯვასა და სიხარულს ერთმანეთს უკავშირებს და ამაში ჰხედავს სასუფეველსაო.

მარიამმა არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, რომელ ერთისათვის მიემართნა და ბოლოს შეევედრა—შვილი სამივემ მომინათლეთო. ასეთი მოწოდება მათ იუკადრისეს.

— მაშ, რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე?! —დაიძახა სასოწარკვეთილებით მარიამმა.

მოჩვენებათ რომ დაინახეს მარიამის ასეთი ყოყმანი და გაჭირვება, შეიბრალეს და გადასწყვიტეს ისეთ ვისთვისმე მიემართათ, რომელსაც ნამდვილად დაენახვებინა მარიამისათვის, ვინ იყო მათში უპირატესი. ბევრის კამათისა და თათბირის შემდეგ, მოსამართლედ სიკვდილი აირჩიეს.

— ყოვლად-ძლიერო სიკვდილო!—დაიწყეს სამივემ,—სამართლიანობა შენი სწორუპოვარია! ამიტომ მოგმართავთ შენ... მოვედ ჩვენდა, შენმა მართლ-მსაჯულებამ უჩვენოს ამ ტანჯულ ადამიანს, რომელი უფრო მადლ-მოსილია ჩვენში!!

როცა ეს მოწოდება გათავდა, უეცრად ჰაერი აირია, იმ მიდამოს გარშემო ნიავმა შემოურბინა და სწრაფად ტყეში შეიპარა... მთვარემ, თითქოს შესცივდაო, ღრუბლები გადაიფარა და იმათ შორის ჩაითბუნა... ვარსკვლავები ანაზდეულად ჩაქრნენ... ერთბაშად დაძრულ გრიგალის მზგავსი რამ ხმა მოისმა და მარიამის შიშით აღძრულ თვალებს წინ წარმოუდგა მთლად შავებით მოსილი, გრძნეულის სილამაზით აღბეჭდილი, უწვერ-ულვაშო ჭაბუკი, რომლის თვალებიდგან ისეთი ძლიერი შუქი გამოდიოდა სვეტებად, რომ, თუმცა მთვარე აღარ ანათებდა, ის არე-მარე მთლად გააკაშკაშა; მაგრამ ეს შუქი, სითბოს მაგიერ, ყინვის მზგავს სიცივეს ჰფენდა იმ მიდამოს... გულზედ დაკრეფილი ტიტველა სპეტაკი მკლავები განუზომელის ძლიერების გამომეტყველი ჰქონდა, ასე რომ მათი მოხვევნა სანატრელი როდი უნდა ყოფილიყო.

მარიამი ისე შეშინდა, რომ ფეხები ჩაეკეცა და პირქვე დაემხო... ფერიათა მეფაც შეკრთა და გაცრეცილი ფერი გადაედო ტურფა სახეზედ... ეტლში მჯდომი ჭაბუკი კანკალმა აიტანა... ცხენებმა ფრუტუნი და ტოტების ცემა შესწყვიტეს და ქანდაკებად გარდაიქცნენ. მხოლოდ დაფნით მოსილი დარჩა უცვლელი.

— აი, მეძახით და მოველ თქვენს მოწოდებაზედ—წარმოსთქვა რიხიანად ახლად მოსულმა და ტუჩებზე დამცინავი ღიმილი შეუთამაშდა.—მეხომ ძალად-მაცხონე სტუმარს მეძახიან და მიკვირს, რომ თვითონ თქვენ მიხმეთ... რა ამბავია?

ფერიათა მეფემ მოწიწებით შეხედა, რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ვერ გაბედა და თვალები ძირს დაუშვა. ეტლში მყოფი-კი თავს მაღლა ვერ იღებდა.

— შენ მაინც მითხარ, რა ამბავია? მიუბრუნდა სიცილით ახალ-მოსული გვირგვინოსანს—ხომ ჰხედავ, ამათ სული ფეხის ფრჩხილებში გაეპარათ...

— ყოვლის შემმუსვრელო ძალავ! იმიტომ გიხმეთ, რომ სამართალი მოგვცე... აი, ხომ ჰხედავ საბრალო დედას... იგი დაეძებს თავის შვილისათვის უკეთესს ნათლიას და ვერ გაუბედნია, ჩვენ შორის რომელი აირჩიოს... შენ უნდა უჩვენო, ვინ არის ჩვენში წარჩინებული... შენ იმიტომ აგირჩიეთ, რომ ყველაზედ მართლიერი ხარ!..

— აბა, ახლა სხვებსა ჰკითხე!.. სთქვა ღიმილით სიკვდილმა—რამდენი მწამებს უსამართლობას... მაგრამ ეს ხომ ყველა მსაჯულის ხვედრია... ისევ ისა სჯობია საქმეს შევუდგეთ...—შენ!—აქ სიკვდილი ფერიათა მეფას მიუბრუნდა—რომ ტურფა ხარ და გრძნობის დამატყვევებელი—ამას მე არ უარვყოფ... ამას მე იმითაც ვამტკიცებ, რომ შენ მიერ სულ-ჩადგმულს ნაყოფს უფრო ხშირად ვეტრფიალები ხოლმე, ვიდრე სხვა გვარსა... მაგრამ შენ რომ ჩემთან შედარებით უძლური ხარ... ყოველის შენის ქმნილების ცხოველ-მყოფელობა და ძლევა-მოსილება ჩემს ნება-ყოფლობაზეა დამოკიდებული... მიწისა და ჰაერის შეუღლება ნაყოფსა ჰქმნის... მზე ამ ნაყოფს სითბო-სინათლეს დაჰფენქავს და იგი შვენიერ ყვავილად გარდაიშლება... ყველა ხარობს მისის ხილვით, სტკბება სუნნელოვანობით... მაგრამ წამოუბენს მაცდური ქარი, შეარხევს ბუჩქს... ნაზი ყვავილი სწყდება... მისი შემაერთებელი ნაწილები იშლებიან... ყვავილი გაიხრწნა... აღარ არის... იყო და აღარ არის!.. ასევეა შენი ქმნილებაც ჩემს ხელში... აი, შენ შეაზავე ადამიანის არსება ჯადოსნურის მომხიბლავობით... ყოველი მისი მნახველის თვალი წარიტაცება მისის სიტურფით, გრძნობა ტყვევდება და იგი თითქმის სიყვარულის საკურთხევლად გარდაიქცევა... მაგრამ რა გამოვიდა? გავჩნდი მე... მოვისურვე მისი მოხვევნა და გათავდა... აღარ არის შვენიერება ისე, როგორადაც აღარ არის სიცოცხლე... მაჯის ცემა!... მტვრად იქცა... დავიწყებას მიეცა!.. დამეთანხმე, მეგობარო, რომ მართალს ვამბობ!..—აქ სიკვდილი შეჩერდა...ერთ ხანს მდუმარებდა და მერე ეტლში მყოფ ჭაბუკს მიუბრუნდა—

— შენ-კი... სწორედ გითხრა, მაკვირვებს შენი გაბედულება. შენს შექმნაში ხომ ღმერთი არა რეულა... შენ ადამიანის მოგონილი ხარ და, დროთა ვითარების გამო, შეცდომით, სალმერთო ტახტზედ ასული... მაგრამ, იცოდე ადამიანივე ჩამოგაგდებს იმ კვარცხლბეკიდგან, რომელზედაც ქურდულად შესკუპებულხარ... ადამიანი უკვე დრტვინავს შენის გალმერთების გამო და მოახლოვებულია ის დრო, როდესაც ტანიდგან გაგაძრობს მაგ ბრწყინვალე სამოსელს, ნაწილ-ნაწილად გაქცევს და საშუალება აღარ გექნება, შენს სურვილზედ, ვინც გინდოდეს, ღირსი თუ უღირსი, ის გააბედნიერო, თუ-კი ვისიმე გაბედნიერება შეგიძლიან!... ჩემთვის-კი შენ ყოველთვის არარაობა იყავი და არაფრად დარჩები!.. აბა, ერთი მითხარი, ვინა ყოფილა შენ მიერ რჩეულთა რიცხვში მოქცეული, რომ ჩემს წინაშე არ შემკრთალიყოს... ისე როგორადაც ამ წამს შენ გეცვლება ფერ-ფური!.. ეჰ, ღირს-კი შენ შესახებ

ანიდგან გამოქცეულია) ჰბრალდებათ ჩვენის [illegible] ბ-ნ ცახელის თავდასხმა და გაძარცვა თავისს საკუთარს მამულში წყალ-წითელას პირზე.

ამ საქმეების გამო 140-დე მოწმეა დაბარებული და ამბობენ, საქმე ერთს კვირას გასტანსო. დამნაშავეთა სატუსაღოდგან მოყვან-წაყვანის დროს, გარდა აუარებელ ჯარის-კაცებისა ქუჩებში, აუარებელი მაყურებლებიც მიჰყვებ-მოჰყვებიან. ყველანი გაიძახიან: ვაი, რა ბიჭებს მოელის ჩამოხრჩობაო და სხვა მისთანებს. სასამართლოს კიბეების და დერეფნებშიაც დიდ-ძალი ხალხი სდგას; საქმის გარჩევას-კი მისი მეასედიც ვერ ესწრება; სასამართლოს დარბაზი 100 კაცსაც ძლივს იტევს. საქმის გარჩევას არა ჩვეულებრივი ხასიათი აქვს მარტო გარეგნობითაც: აუარებელი ჯარის-კაცები, „კაზაკები", „სტრაჟნიკები", პოლიციის მოხელენი თავიანთი მეთაურითურთ წესიერებას იცავენ. 9 საათიდგან 12-დე მოწმეთა აღნუსხვა-შემოწმებას მოუნდნენ. მთელი 3 საათი ბრალმდებლობის კითხვას მოუნდნენ, რომელიც 24 ფურცელ ქაღალდზეა გადაწერილებული. ხვალიდგან დაიწყებენ მოწმეთაგან ჩვენების ჩამორთმევას. ყველა გულის ფანცქალით და მღელვარებით ელის საქმის დასრულებას. დამნაშავეთა დამცველნი არიან: მოსე ქიქოძე, მექი ფაღავა, კალისტრატე ჩიკვაიძე და ა. ამირეჯიბი. არის მთავრობის მხრივაც დანიშნული დამცველი სამხედრო კაცი.

ისო.

დაბა და სოფელი

სოფ. რუისპირი (თელავის მაზრა). ეს ერთი წელიწადია, რაც რუისპირი ცალკე სამამასახლისოდ აღარ არის და შეერთებულია სოფ. ვარდისუბანსა და იყალთოსთან. ახალ სამამასახლისოში 800 კომლი მცხოვრებია. სამამასახლისოს ჰყავს მწერალი რუსი, აქვს ერთი საზოგადო კანცელარია, სადაც მუდამ კვირაობით იკრიბება ხალხი სამივე სოფლიდგან (300 კაცამდის) სხვა და სხვა საქმისთვის. კანცელარია რუისპირშია მოთავსებული, რადგან ეს სოფელი შუაგულია და ხალხს მისვლას უადვილებს, მწერალიც ამ სოფ. სცხოვრობს ხალხისაგან დაქირავებულს სახლში.

გლეხობას ეგონა, რომ ეს ახალი წესი, სოფლების ერთად შეერთება, წვრილ-წვრილ ხარჯებს შეგვიმცირებსო. წინად თუ კომლზე აბაზს ვიხდიდით მწერალთათვის, ეხლა სამს-ორს შაურს გადავიხდითო, მამასახლისის ჯამაგირიც შეგვიმცირდებაო და სხვა. მაგრამ, როდესაც შეუერთდა სოფლები ერთმანეთს, ამოირჩიეს ერთი მამასახლისი და თითო ნაცვალი სამივე სოფელმა, მაშინ საზოგადოების საქმემ სულ სხვა წესით დაიწყო წარმოება. წინად თუ აბაზს ახდევინებდნენ მწერლის ფულს, ეხლა 40—45 კ. უნდა გადაიხადონ, რადგან მეტ-ჯამაგირიანი მწერალი დასჭირდა სამ სოფელს (მწერალს თვეში სამ თუმანს აძლევენ); მამასახლისს წინად რომ კომლზე კაცი [illegible], ეხლა 50 კ. უნდა გადაიხადოს თითოეულმა კომლმა მის სასარგებლოდ. კანცელარიაში დღე და ღამე ყარაული არა სჭირდებოდათ, ეხლა მის ხარჯსაც იხდის. ერთი სიტყვით, ამ სოფლების შეერთებამ უფრო მეტი წვრილ-წვრილი ხარჯი გამოიწვია. საზოგადოება მამასახლისის ცხენის ხარჯსაც იხდის წელიწადში ხუთ თუმანს.

ნაცვლები სოფლებში ისევე იქცევიან, როგორც მამასახლისები, ისინიც ისევე მბრძანებლობენ და სჭამენ გლეხ-კაცის ალალ ლუკმას, როგორც პირველები; ისინიც ისევე ქეიფობენ დუქნებში და [illegible] დღეებს, როგორც პირველები.

ის აზრი, რომ ვითომ სოფლების შეერთება შეღავათს მისცემდა, სრულიად არ გამართლდა და გლეხობა უფრო შეწუხებულია ახლა. და ისევ ძველ წესს რჩეობს. თითო მამასახლისი სოფელში უფრო კარგად არჩევდა ჩვენს საქმეებს, ვიდრე ახლაო, მართალიც არის. კაცს რაიმე საქმე რომ ჰქონდეს მამასახლისთან საქმი დღით, თუ სამი-ოთხი დღე არ ეძება, ვერ ჩაიგდებს ხელში, რადგან ხან ერთ სოფელშია და ხან მეორეში; უკან დევნაში გლეხკაცს ბევრი დრო ეკარგება, მისთვის-კი ეს დიდად საზარალოა.

რუისპირში, როგორც სხვა სოფლებშიაც, მოიპოვება დუქანი. ამ ჟამად აქ ორი დუქანია გამართული, რომლებიც წვრილმანით და სპირტით ვაჭრობენ. ერთის დუქნის პატრონი დიდი ხანია რაც ამ სოფელში ვაჭრობს და ყველაფერს ძვირად ჰყიდის. მეორეს-კი თანხა ნაკლები აქვს და, თუმცა სინდისიანად ვაჭრობს, [illegible] აკლია და ხალხი ძალა-უნებურად პირველ მედუქნესთან დადის. ჩვენის ფიქრით, სოფელს თუ ერთი პირი ექნება, ადვილად შეუძლიან პირველ მედუქნეს დაავალოს თელავის მაზანდაზედ ჰყიდოს სავაჭრო. არ იქნება ურიგო, რომ, ვისგანაც ჯერ არს, ისიც დაეხმარებოდეს სოფელს ამ საქმეში.

კოტე სეხნიაშვილი.

დაბა ქვიშეთი (დუშეთის მაზრა). ამ რვა წლის წინად აქ იდგა „კამანდა" ასამდე ჯარის კაცი. როცა ეს ჯარის-კაცნი აქედან გადიყვანეს, მათი ყაზარმები დარჩა უპატრონოდ. უბრალო დარაჯიც-კი არა ჰყავდა ყაზარმის შენობას. უპატრონო სახლებს ყველა დაეპატრონა და სულ გაძარცვეს იქაურობა. მოიპარეს ჩარჩოები, სახურავები ჩამოჰგლიჯეს, წყლის ჩამოსადენი მილები წაიღ-წამოიღეს, თლილის ქვის კიბეები დაატეხეს. ერთად-ერთი შენობა გადარჩა მხოლოდ, რადგან ამ შენობაში დადგა თავის ქალით ქვრივი ამ სოფელში მღვდლად ნამყოფის. ქვრივი საწყალი დედაკაცია. უსახლ-კარობისა და ხელ-მოკლეობის გამო ამ შენობაში შეაფარა თავი და ჰპატრონობდა კიდეც შენობას, რომელიც დღემდე გადარჩა დანგრევასა და გაძარცვა-გატაცებასა. მაგრამ ამ ბოლოს დროს-კი ამ შენობაში დააყენეს ტყის მცველი, ხოლო ქვრივი დედაკაცი დარჩა უსახლოდ.

აქეთ დიდი თოვლია, ორის არშინის სიმაღლეზედ სდევს თოვლი.

ა—ი.

ნარკვევი.

ქალების უნივერსიტეტში მიღების მოწინააღმდეგენი იმით ასაბუთებენ თავისს აზრს, რომ რუსეთში ბევრია საქალებო უმაღლესი სასწავლებელი და მსურველთ შეუძლიანთ იქ განაგრძონ სწავლა-განათლებაო. თუ რამდენად უსაფუძვლოა ამ ვაჟბატონების არგუმენტაცია, ამას აშკარად ამტკიცებს ჟურნალი „რუს. ვრაჩი".

1901 წ. პეტერბურგის უმაღლეს საქალებო კურსებზედ თხოვნა შემოიტანა 548 ქალმა და მიღებული-კი იყო მხოლოდ 296. უფრო ცუდს მდგომარეობაშია საქმე სამკურნალო ინსტიტუტში. 1899 წელს ამ ინსტიტუტში შემოტანილი იყო 400 თხოვნა და მიღებული-კი მხოლოდ 165 ქალი, 1900 წ. 726 მთხოვნელთაგან მიიღეს მარტო 200. გარდა ამისა, კურსებზე და ინსტიტუტში მიღებულთათვისაც არ არის სამყოფი აუდიტორიები, კლინიკები, სამოსწავლო ნივთები; პროფესორების რიცხვი არ არის სამყოფი, მათ მაგიერობას ხშირად ასისტენტები და მასწავლებლები სწევენ. უმაღლესის კურსების პროგრამა უნივერსიტეტის პროგრამაზე დაბლა სდგას და უმაღლეს კურსდამთავრებულთ ვერ მოუხერხებიათ შესაფერად გამოიყენონ თავისი ცოდნა.

მაგრამ განა „რეაქციისათვის" საბუთები არსებობს?!

პატარა საუბარი.

„ძლიერ საყურადღებო ხანა დაგვიდგაო", ბძანებს ბ-ნი არჩილ ჯორჯაძე *). მართალია, ფრიად საყურადღებო ხანა დაგვიდგა. საყურადღებო-მეთქი! საყურადღებო-კი არა, სწორედ სასწაულების ხანაა ეს ჩვენი ხანა, „ცნობის ფურცლის" და არჩილ ჯორჯაძის წყალობითა.

მეტი სასწაულიანი ხანა-ღა გნებავთ, რომ კაცი ჰფიქრობდეს, ჰმოძრაობდეს, იღვწოდეს და იმავე დროს „უკვე მკვდარი" იყოს და ველარა მოაბრუნებდეს-რა. აბა ერთი მანიშნეთ,—რომელი ხანა ყოფილა კაცობრიობის ისტორიაში იმისთანა, რომ ეს ასეთი სასწაული არამც თუ მომხდარიყოს, ფიქრად მოსვლოდეს ვისმე უიმისოდ, რომ თავი არ გადაეპარსათ და ცივი წყალი არ ესხათ.

მე რომ „კონსერვატორი" და „რეაქციონერი" არ ვიყო, თვითონ ბ-ნი ჯორჯაძე ღირს-გამხდიდა და დამემოწმებოდა, რომ ამისთანა სასწაული არამც თუ თავის დღეში არ მომხდარა, ფიქრადაც არავის მოსვლია. ჩვენში-კი დღეს ეს სასწაული მომხდარა და, თუ არ მომხდარა, ფიქრად ხომ მოსვლიათ და მოსვლიათ. მოდით და ამას იქით ნუ ბძანებთ არჩილ ჯორჯაძესთან ერთად, რომ დღეს „ძლიერ საყურადღებო ხანა დაგვდგომია".

ვისი უნარია ეს ამისთანა სასწაული? ვის მოუვიდა ფიქრად, რომ შესაძლოა მკვდარიც იყოს და ჰფიქრობდეს, ჰმოძრაობდეს და იღვწოდეს კიდეც? რა თქმა უნდა, ძველის მიმართულების კაცნი ამ სასწაულის ქმნას, თუ თქმას ვერც შეჰბედავდნენ, ვერც მოახერხებდნენ, რადგანაც არა შეჰხდა მწყერი ხესა არა იყო გვარი მისი. ვინ მიაქვავათ ძველებს ამაების შნო და უნარი! დაილოცა ისევ ახალ მიმართულების ვაჟ-ბატონები და მათ შორის ჩვენი თავ-მოწონებული არჩილ ჯორჯაძე! ეს რომ არა ჰყავდეთ, სხვა უიმისო ვინ იტყოდა რიხით და გაბედვით, რომ შესაძლოა კაცი ჰფიქრობდეს, ჰმოძრაობდეს, იღვწოდეს და იმავე დროს „უკვე მკვდარი" იყოს. ესეც თქვენი ახალი ფიზიოლოგია, არჩილ ჯორჯაძის მიერ შეთხზული და „ცნობის ფურცლისაგან" გამოცემული.

იქნება არ გჯერათ, რომ ბ-ნ არჩილ ჯორჯაძის ყოვლად-შემძლებელმა და სულ ახლად-ახლად გამომცხვარმა მეცნიერებამ ხსენებული სასწაული წინ გადაგვიშალა. აი, ბატონებო, თქვენის ბედნიერის თვალით იხილეთ და თქვენის ბედნიერის ყურით მოისმინეთ იგი საოცარი და უცნაური ახალი, რომელიც მას თვისდა სასახელოდ აღმოუჩენია და რომელსაც, იმედია, არავინ შეეცილება.

„ჩვენის ცხოვრების ახალ მიმართულებასთან ერთად წარსული წესი ჰფიქრობს, ჰმოძრაობს და იღწვის. ეს მოვლენა ფრიად საგულისხმოა, რადგან ჩვენის ერის ცხოველ-მყოფელობის მაჩვენებელია".

.... «რას იზამთ? ასეთია „სულთა ბრძოლა" ძველის წესისა! იგი უკვე მკვდარია, მას ვერც პლებსის მეცნიერება, ვერც ბ-ნ ტფილელის პუბლიცისტიკა ვერ გამოაბრუნებს".

ამ ორსავე ტირადას ერთსა და იმავე დროს ერთი და იგივე კაცი სწერს და იგი კაცი არჩილ ჯორჯაძეა. **) განა საოცარი არ არის ეს წაჯეგ-უკუჯევობა, ეს თქმა და იმავე დროს უკუთქმა, რომ სხვა მეტი არა ვთქვათ-რა!.. რას იზამთ? ასეთია თურმე ახალნი სამამაცონი ზნენი, ახალი შნო და უნარი არჩილ ჯორჯაძისებურ ახალ მიმართულებისა. ჯერ გვეუბნება, რომ წარსული, ესე იგი, ძველი წესი ჰფიქრობს, ჰმოძრაობს, იღვწისო და მერე იქავ უმატებს, იგი, ძველი წესი, უკვე მკვდარია და ველარა გამოაბრუნებს-რაო. თუ ჰფიქრობს, ჰმოძრაობს და იღვწის, როგორი-ღა მკვდარია და თუ მკვდარია, როგორ-ღა ჰფიქრობს, ჰმოძრაობს და იღვწის? აბა, კოდელონინო, რამლი ჰყარე და ეს ამოცანა გამოიცან.

ახალ-მოსული.

---

*) იხ. „ცნობ. ფურც." № 1720, წერილი არჩილ ჯორჯაძისა.

**) იხ. «ცნობის ფურცელი» № 1720, წერილი არჩილ ჯორჯაძისა.

რუსეთი

გრაფის ლ. ნ. ტოლსტოის ავადმყოფობის შესახებ შემდეგს გვატყობინებენ:

24 იანვარი, 1902 წ.

„დღეს გრაფი ინახულეს ცნობილმა მკურნალებმა ლეიბ-მედიკმა ბერტენსონმა (სამკურნალო წყლების დირექტორად იყო წინად) და შჩუროვსკიმ (მოსკოველმა მკურნალმა). ტოლსტოის გულჰიდება და პლევრიტი აქვს მარცხენა ფილტვის ანთებით. ავადმყოფი უნუგეშო მდგომარეობაში იყო, მაგრამ მკურნალების გულდადებით გამოკვლევამა და შესაფერმა წამლობამ ცოტა შეღავათი მისცა".

25 იანვარი, 1902 წ.

„საღამოთი გრაფს სიცხე მისცა, რომელმაც 39°-მდე აიწია. შემდეგ საშინელი ტკივილი აუვარდა გულისა. მაშინათვე ტელეფონით შჩუროვსკი მოიწვიეს იალტიდგან, სადაც მას ანტ. ჩეხოვი უნდა ენახა (ძმაც ავადმყოფია) და ალტშუგერი, მაგრამ ვერა უშველეს-რა. ლევ ნიკოლოზის ძე მთელს ღამეს საშინლად იტანჯებოდა, თვალი არ მოუხუჭნია, კვნესოდა და ვერა უშველა-რა ვერც სითბომ, ვერ ხლოროფორმმა, ვერც საცხებელმა. დილით მოვიდნენ მკურნალები და დაასკვნეს, რომ საშინელი გულჰიდილი ჰქონია. კან ქვეშ შეუშხაპუნეს მორფინი და მაშინ-ღა ჩაეძინა".

როგორც რუსეთის გაზეთებში დაბეჭდილ ბოლოინდელ ცნობებიდგანა სჩანს, ფილტვის ანთებას გაუვლია, მორჩენის იმედი თურმე აქვთ.

— ვიატკის გუბერნიის ერობას დაუდგენია იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ ნება დართულ იქმნეს დრო-გამოშვებით კრებანი საერობო გამგეობათა თავმჯდომარეებისა. ერობა იმით ასაბუთებს თავისს შუამდგომლობას, რომ საერობო ცხოვრების შესახებ ბევრი მასალა გროვდება და მის განსახილველად აუცილებლივ საჭიროა ერობის აღმასრულებელ ორგანების ერთად შეკრებაო.

— სარატოვის ერობის მიერ გამოცემულ ანგარიშში საყურადღებო ცნობებია მოყვანილი უფასო სახალხო წიგნთ-საცავების შესახებ: სახალხო ბიბლიოთეკები აღორძინდა ერობის მოქმედების უკანასკნელს [illegible] წელიწადში. 1892 წლამდის არსებობდა მხოლოდ 2 ბიბლიოთეკა, დღეს-კი 132 ბიბლიოთეკა არსებობს. ბიბლიოთეკების გამრავლებას ძალიან დაეხმარა დღეს უკვე გაუქმებული პეტერბურგის წერა-კითხვის კომიტეტი. თითო ბიბლიოთეკაზე ორთა შუა რიცხვით იხარჯება 55 მ. წელიწადში. დიდი მოთხოვნილებაა ნეკრასოვის, კოროლენკოს, გლ. უსპენსკის, კარონინის, ნაუმოვის, გორკის, რეშეტნიკოვის, ვ. ჰუგოს და სხ. თხზულებათა, მაგრამ ეს წიგნები არ მოიპოვება ბიბლიოთეკებში (კანონი ნებას არ აძლევს). ერობის გამგეობას ცნობანი შეუკრებია სოფლელთა შორის იმის შესახებ—„იზიდავს თუ არა ბიბლიოთეკა მცხოვრებლების თანაგრძნობასო"? 76 პასუხი მოჰსვლია და მათ შორის 56-ი ამბობს—იზიდავსო. ყველაზედ უფრო ნაკლების თანაგრძნობის პასუხი გამგეობას მიუღია ვოლსკის მაზრიდგან, სადაც სკოლები სამღვდელოების ხელშია.

— ვოლოგდის ერობას დაუდგენია იშუამდგომლოს, რომ უფასო სახალხო ბიბლიოთეკებს უფლება ჰქონდეთ იქონიონ ყველა ის წიგნი, რომელიც ნება-დართულია საჯარო ბიბლიოთეკებისათვის.

— პერმის გუბერნიაში თან-და-თან ძლიერდება შიმშილობა, მრავლდება მათხოვრების რიცხვი, ვისაც-კი რა გააჩნია, მევახშეებთან აგირავებს, მატულობს ქურდობა, აქა-იქ ჩნდება გადამდები ავადმყოფობა. ქუჩა-ქუჩა დადიან სოფლის სკოლის მოსწავლენი და ჰკრებენ პურის ნატეხებს, რომ სახლში წაიღონ და მერმე სკოლაში გაემგზავრნენ. ერთს სოფელში გზაზე წაიქცა ქალი, უჭმელობისაგან დასუსტებული დ გულ-შეწუხებული...

— ფინანსთა სამინისტრო იხილავს საგანს იმის შესახებ, რომ კომერციულ სასწავლებელში კურს-დამთავრებულთ ნება მიეცეთ არამც თუ სპეციალურ უმაღლესს სასწავლებელში, არამედ უნივერსიტეტის ზოგიერთ ფაკულტეტზე შესვლისაც.

— გაზეთს „ხარკ. ვედ."-ში მოთავსებულია შემდეგი წერილი: „მე საჯაროდ ყველას საუწყებლად უნდა გამოვაცხადო ის საქციელი, რომელიც მოვიქმედე და რომელიც მტანჯავს და მასთანავე უნდა აღვნიშნო პატივის-ცემით შეურაცხყოფილის კაცის სულგრძელება. მე გავარტყი იმ კაცს სილა. საქმე ასე იყო. კონკის გაჩერების დროს სავაჭრო მოედანზე, შევაღე წინა კარი და შევედი ვაგონში. ერთი სუფთად ჩაცმული ახალგაზდა შენიშვნას მაძლევს ამის გამო,—გავცივდებით; მე ვუპასუხე: ეგ თქვენი ფანტაზია არის-მეთქი.—„უფრო თქვენი სისულელეაო"—მითხრა. მე გული მომივიდა და ამ სიტყვებით: „ამისთვის სილას აჭმევენ-მეთქი კაცს"—გავარტყი. იგი ფეხზე წამოხტა. „მე თქვენ არა გცემთ, მხოლოდ პასუხს-კი აგებთ". საშინელი, შესაზარი სცენა იყო. მე გონს მოვედი და ვუთხარი: დამნაშავე ვარ დიდად და მზადა ვარ, ღირსეული სასჯელი მივიღო-მეთქი. „წავიდეთ პოლიციის განყოფილებაში". წავედით. საშინლად მტანჯავდა, მაწუხებდა ჩემი საქციელი, მრცხვენოდა; ჩემი საქციელი ეწინააღმდეგებოდა ჩემს შეხედულებას, პატივისცემას ადამიანისადმი; ბოქაულმა გვკითხა ვინაობა. „ექიმი ვლ. ვლ. ფავრი", ვუთხარი მე. მერე იმანაც დაა-

---

ლაპარაკი, სამართლის ქმნა?!

და ამის შემდეგ, ნუ-თუ თქვენ, ორივენი, ჰბედავთ ამასთან ფეხი გაიწვდინოთ?!—სიკვდილმა ხელით გვირგვინოსანზე ანიშნა—განა არ იცით, რომ ეს ისევე ძლიერია, როგორადაც მე? და უფრო ძლიერიც, რადგანაც იგი ჰქმნის და მე-კი მხოლოდ ვმუსრავ!.. ნუ-თუ აქამდის შეტყობილი არა გაქვთ, რომ ამის მიერ ნაკურთხი ისევე უკვდავია, როგორადაც მე ვარ უკვდავი?! მთელი ჩემი ძალი და ხერხი ამასთან ბრძოლას შევალიე, მაგრამ უსამართლობა იქნება, ვსთქვა,—გავიმარჯვე-მეთქი... და თუ მქონია ოდესმე გამარჯვება, მხოლოდ წუთიერი, რადგანაც ჩემ მიერ სიცოცხლის აღკვეთის შემდეგ, ამის ნათლული კვლავ უფრო ბრწყინვალე და შარვანდედოსილ ცხოვრებას შესდგომია... და ამ სიცოცხლეს არამც თუ მე... დროც ვერ წაჰშლის!.. და იქ, სადაც მე ვგრძნობ უძლურებას, თქვენ, ჩემის ერთი შებერვის მსხვერპლნო,—ჰყოყოჩობთ?! გასწით, გასწით, სანამ ჩემი მარჯვენა არ მოგკარებიათ!.. თორემ...

სიკვდილმა აღარ დაასრულა თავისი მუქარა, რადგანაც ფერიათა მეფა და ეტლში მჯდომი ჭაბუკი, თავიანთის მხლებლებით, თან-და-თან დაპატარავდნენ, დასორსოლდნენ და უეცრად უჩინარნი შეიქმნენ...

ამის დამნახავმა სიკვდილმა ერთი გულიანად გადაიხარხარა და ეს ეშმაკეული ხარხარი იმ არე-მარეს ქუხილივით მოედო.

მარიამს ძარღვებში სისხლი გაეყინა და თრთოლა აუტყდა.

— ნუ ეძლევი შიშსა და კრთომას—მიჰმართა მარიამს სიკვდილმა.—შენი შვილი ბედნიერ ვარსკვლავზედ დაბადებულა და მე მსურს იმის ნათლობას დავესწრო... მართალია, იგი უკვდავი იქნება, რაც ჩემ დამარცხებათა რიცხვს ერთი ცალი კიდევ მიემატება, მაგრამ კარგის მტრისაგან დამარცხება უფრო სასიამოვნოა, ვიდრე იმათთანაზედ გამარჯვება, აი, ახლა სივრცეში რომ გასრიალდნენ!.. რას იტყვი, მეგობარო, ჰა?—ჰკითხა სიკვდილმა დაფნით მოსილს.

— თუმცა შენი მეგობრობა საეჭვოა, მაგრამ უარს არ გეტყვი... საჭირო კაცი ხარ... ღიმილით უპასუხა დაფნიანმა.

სიკვდილმა კვლავ გადაიხარხარა, მაგრამ ამ სიცილს წინანდელი მკაცრი იერი აღარ ეტყობოდა. თვალებიდგან გამონაკრთობი შუქიც როგორღაც სითბოთი შეიმოსა და სიცივე თან-და-თან მინელდა.

— აბა, დაიწყე—მიუბრუნდა იგი გვირგვინოსანს—განთიადი მოახლოვებულია, მეჩქარება... აი, იმ ვაჟბატონის, ეტლში რომ იჯდა,—ერთ იმის დამქაშს უნდა ვეწვიო, ვნახოთ, როგორ გააბედნიერებს თავისის სარჩლობით?!—მერე მარიამს მიჰმართა—ადექ, ნუ გეშინიან, არც ისეთი შეჩვენებული ბუნებისა ვარ, როგორც ადამიანსა ჰგონია... მეცა მაქვს სიბრალული... აი, დაგიმტკიცებ... ამ სიტყვებთან სიკვდილმა ხელი გაიქნია, რის გამოც ცაზედ მოგროვილი ღრუბლები მთლად გაიფანტა, მთვარემ ძალუმად გამოაკაშკაშა, ვარსკვლავები კვლავ აციმციმდნენ და „დიდების სერი" ისევ სინათლეში შთაინთქა.

— მოიტა ეგ ბალღი — უთხრა სიკვდილმა მარიამს,—ნათლიას მე გადავცემ... ჩემი შეხება ხორციელად ხანგრძლივ სიცოცხლეს მიანიჭებს. — მარიამმა კრთომითა და მოწიწებით სიკვდილს ბალღი მიართვა და იმან-კი დაფნით მოსილს გარდასცა.

დაფნით მოსილმა ბალღი რა ხელში აიყვანა, საბანი გადაუწია და შუბლზედ და მკერდზედ ამბორ-ჰყო.

მარიამი-კი ყველა ამ სანახაობით ისე იყო აღელვებული და გონება-მიხდილი, რომ ვერც-კი გაიგო, როგორ დაუბრუნეს მას ბალღი და, როდესაც იგრძნო მისი შეხება,—გარინდებას გამოერკვა, მაგრამ მის წინ აღარავინ იყო და „დიდების სერი" სიბნელეს მოეცვა.

სამაგიეროდ ღამის წყვდიადი განთიადისაგან ნატყორცნის ისარით შიგ შუა გულში იყო გაბასრული... ცაზედ დაქნილი ციაგი ზოლი განთიადისა თან და თან დიდდებოდა, სიბნელე-კი თავისს შავს ჩადრს იკეცავდა და დედამიწას ჰშორდებოდა. დღე სამყაროს მოციქულად მტრედისფერ რიჟრაჟს უგზავნიდა და სიამტკბილობის კავშირსა სთხოვდა — ქვეყანა ამ მოციქულს დიდის დიდებით მიეგება.

პირველად სამურმა ნიავმა წამოისისინა, ხის ფოთლები აალაპარაკა, მერე მიწაზედ განგრთხო, შეერია ბალახ-მცენარეთ და რიჟრაჟის მოციქულება ამცნო. სწორედ ამავე დროს შორს, სადღაც, ბულბულმა დაჰკვნესა, დასტირა, თითქოს ვიღაცას უჩივისო, მაგრამ ეს მწარე ზარი ხანგრძლივი როდი იყო... უეცრად შეწყდა მისი ხმა, ერთ ხანს მდუმარება დამყარდა, მხოლოდ მარტო ნიავი-ღა ლაღობდა, ასე გონია, ბუნებას ეუბნება — „გაიღვიძე, გაიღვიძე, განთიადმა კარები დაგიკაკუნაო".

აი, კვლავ გაისმა ბულბულის სტვენა, მხოლოდ ახლა ამ სტვენას წინანდელი ნაღველი აღარ ეტყობა, ახლა სხვა ჰანგზე მღერს ბულბული და ეს ჰანგი სიხარულით არის სავსე... სჩანს მასაც უგრძვნია განთიადის სიმშვენიერე და ამ ნაგრძნობს ნეტარებით გაუყენთია მისი გულის ნადები... ბულბული აღტაცებით ეგებება ბუნების გამოფხიზლებას, სტკბება მისის სიტურფით და კმაყოფილებას მრავალ-გრეხილოვან ხმაში აწვეთებს.

აბა, ყური დაუგდეთ... რა გვარად ნავარდობს მისი ნაზი, კისკასი ხმა სივრცეში, რა სათუთად ესისხლ-ხორცება იგი ჰაერს!...

და გზად მიმავალი მარიამი ყურს უგდებს ამ ხმას, ყურს უგდებს, რადგანაც იგი მისს ბედნიერებით ავსებს გულს ნელსაცხებელსავით ესალბუნება... მისთვის ეს ხმა, სიყვარულს ადიდებს იგი, თუ ბუნების სიკეკლუცეს, ერთისა და იმავე სიტყვის მრავალ-ფერად გამომხატველია... „უკვდავი", „უკვდავი"-აი, რას ეუბნება მას ბულბული...

დანარჩენნი ფრთოსანნი გაჩუმებულან, თუმცა ყოველი მათგანი განთიადს სანეტაროდ აუძგერებია... მათაც ჰსურთ ბუნებას გამოუცხადონ აღტაცება, მიესალმონ შვენიერ ტყე-ველს, შეასხან ქება-დიდება ქვეყნის შემოქმედებითს ძალას, მაგრამ ბულბულის მედიდურს ჰარმონიას შეუბორკავს მათი მოძრაობა და ისინიც უნებურად ამ გავლენას დაჰმორჩილებიან...

მაგრამ აი, ბულბული კვლავ გაჩუმდა, მისი ამონასტვენი ჰაერში უკანასკნელად გაისმა მგზნებარე აკორდად, ყველაფერი, რაც-კი ფეთქავდა, დადუმდა, თვით ნიავიც-კი მიწას გაეკრა და თავისი საიდუმლო ჩურჩული მცენარესთან შესწყვიტა... ერთ ხანს კვლავ სამარისებური მდუმარება დამყარდა.

რამდენისამე წუთის შემდეგ-კი კვლავ გაცოცხლდა ბუნება, უფრო მომეტებულად დაეტყო მას სიფხიზლე... მხოლოდ ამ გამოფხიზლებას წინანდებური დარბაისლური გამომეტყველება აღარ აქვს... ახლა ყველამ ერთად ამოიდგა ენა-ფრთოსანმაც და სხვა ცხოველმაც... მათი, ერთმანეთში გადახლართული, დაძახილი მოედვა მთელს არე-მარეს, ატყდა ჟივილ-ხივილი და მსწრაფლ დააფრთხო, რასაც-კი ეძინა.

მარიამს-კი კვლავ ის გრძნეული სიტყვა „უკვდავი" ყურში ჩაესმოდა.

ილია ელეფთერიძე.

ხოსალა ავისი გვარი: „გლეხი ს. ვ. შ." პოლიციიდგან რომ გამოვედით, მე გავაჩერე ის კაცი დ ვუთხარი: „იმტომ-კი არა, რომ ბრალი ავიშორო თავიდგან და სამართლიან პასუხის გებას ავცდე, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ცოტათი მაინც შევიმსუბუქო ჩემი სულიერი მდგომარეობა, უნდა ბოდიში მოვიხადო. მე ჩავიდინე სიზიზღარი დანაშაულობა, ღრმად დამნაშავე ვარ თქვენს წინაშე." მან გამომიწოდა ხელი და მითხრა: „მიპატიებია თქვენთვის". მე თვალებიდგან ცრემლები წამომცვივდა მეტის აღელვებისაგან. ქედი მოვიდრიკე ამ კაცის სულ-გრძელების წინაშე. გლეხმა კაცმა მასწავლა ზრდილობა, ადამიანობა მე, ინტელიგენტს ექიმს!.. მან მაპატია, მაგრამ მე არ ვაპატიებ ჩემს თავს და საზოგადოებამ გამასამართლოს". წერილს ქვეშ აწერია: ვ. ვ. ფავრი.

უცხოეთი

ინგლისი. ინგლისსა და იაპონიას შორის დადებულ ხელშეკრულობის შესახებ გაზეთები ძალიან ბევრსა სწერენ. თითქმის ყველანი ერთსა და იმავეს გაიძახიან, რომ ახალი კავშირი რუსეთის წინააღმდეგ არის მიმართულიო. კავშირის დადებას ბევრს ეცადა მარკიზი იტო, რომელიც ამას წინად პეტერბურგშიაც იყო. აი, რასა სწერს „Daily Mail"-ი.

მარკიზი იტო ჯერ პეტერბურგს იყო იმის გასაგებად, შეიძლება თუ არა რუსეთისა და და იაპონიის შეთანხმება-მორიგება აღმოსავლეთ აზიის საქმეების გამო. მარკიზი პეტერბურგში ძალიან კარგად მიიღეს, ისიც გაიგო იტომ, რომ რუსეთის მთავრობა წინააღმდეგი არ არის ხელშეკრულობის დადებისა. პეტერბურგიდგან იტო ინგლისში წავიდა. მარკიზი არავისთან არა ჰმალავდა, რომ რუსეთთან ხელშეკრულობის დადებას სცდილობდა. ამ ამბის გაგებისათანავე ინგლისმა მოისურვა იაპონიასთან ხელშეკრულობის დადება და ისეთი პირობები წარუდგინა მარკიზ იტოს, რომ უკანასკნელმა მეორე დღესვე დეპეშით აცნობა პეტერბურგში რუსეთის მთავრობას, რომ თქვენთან ხელშეკრულობას ვერ დავდებთო. მარკიზი იტო გამოცდილი და მოხერხებული დიპლომატია. შეიძლება მას წინადვე უნდოდა ინგლისთან ხელშეკრულობის დადება და პეტერბურგში განგებ იყო ინგლისელების მოსატყუებლად.

როგორც ზემოდაცა ვთქვით, ინგლის-იაპონიის ხელშეკრულობის შესახებ საზღვარგარეთ ძალიან ბევრსა სწერენ. იაპონელები სიხარულით მიჰგებებიან ინგლის-იაპონიის კავშირს. ინგლისური და გერმანული გაზეთები საერთოდ კარგის თვალით უყურებენ ამ ახალ კავშირს. ასეთივე თვალით უყურებს ამერიკის პრესსა. რაც შეეხება ჟურნალ-გაზეთებს, ხელშეკრულობას ეს გაზეთები ინგლისის დიპლომატიის გამარჯვებად სთვლიან. გაზეთები ერთხმად აცხადებენ, რომ კავშირი რუსეთის წინააღმდეგ არის მიმართულიო. დიდის სიხარულით მიჰგებებიან ხელშეკრულობას აგრეთვე ჩინეთშიაც. „ვოლფის სააგენტოს" შანჰაიდგან ატყობინებენ, რომ ინგლის-იაპონიის ხელშეკრულობის წყალობით შეუძლებელი ხდება რუსეთისათვის სასარგებლო მანჯურიის ხელშეკრულობის დადებაო.

ინგლისის პარლამენტში ამ ხელშეკრულობის შესახებ მთავრობას დეპუტატები 31 იანვარს შეეკითხნენ. გარეშე საქმეთა მინისტრმა დეპუტატთა საპასუხოდ, სხვათა შორის, სთქვა, რომ ხელშეკრულობა შეეხება ჩინეთს, მაშასადამე, მანჯურიასაცაო. კამათის დროს გამოირკვა, რომ ლიბერალები არ არიან კმაყოფილნი ახალის ხელშეკრულობისა. კემპბელ-ბანერმანმა და გარკორტმა უკმაყოფილება განაცხადეს იმის გამო, რომ მთავრობამ ამ ხელშეკრულობით ხელ-ფეხი გაიკრა. ოპოზიციას არც ის მოეწონა, რომ მთავრობამ ძველ ტრადიციას გადაუხვია: ინგლისი მთელი ნახევარი საუკუნე ერიდებოდა ვისმესთან კავშირის დადებას. ასეთივე აზრი გამოსთქვეს ლიბერალურმა გაზეთებმა. იმათის სიტყვით, ხელშეკრულობა სახეიროა მხოლოდ იაპონიისთვის. „ყველაზედ ცუდი ის არისო, სწერს „Daily News"-ი, რომ ამ კავშირმა ინგლისს ხელ-ფეხში ბორკილი გაუყარა. წარმოვიდგინოთ, რომ იაპონიას შეტაკება მოუხდა რუსეთთან, რომელსაც საფრანგეთიც მიეშველება. ახალის ხელშეკრულობის ძალით მხარი უნდა დავუჭიროთ იაპონიას. ომის დროს ჩვენ იაპონიაზედ ბევრად მეტს დავკარგავთ. იაპონიას ერთ ადგილას მოუხდება ბრძოლა, ჩვენ-კი დედამიწის ყოველს კუთხეში უნდა გავუმკლავდეთ მტერს. ჩვენს ნავთ-სადგურებს ყუმბარებს დაუშენენ, გემებს თავს დაესხმიან, მცხოვრებთ შიმშილით „ამოსწყვეტენ".

— 1 თებერვალს ლორდმა როზბერიმ წარმოსთქვა ლივერპულში ახალი სიტყვა, რომელსაც ლიბერალები ეგრე მოუთმენლად მოელოდნენ. პირველად როზბერი სამინისტროს საგარეო პოლიტიკას შეეხო. იმის სიტყვით, მთავრობა მართალი არ არის, როდესაც ამტკიცებს, რომ კრიუგერს არავითარი უფლება არა აქვს მოლაპარაკების დაწყებისა. მთავრობამ მარტო სამხრეთ-აფრიკაში არ ჩაიდინა შეცდომა. საკმაოა მოვიგონოთ ვეი-ხაი-ვეის ისტორია და უნაყოფო ცდა სამინისტროსი კუნძულ მალტაზედ ინგლისურ ენის გაბატონებისა. ინგლის-იაპონიის ხელშეკრულობის შესახებ როზბერიმ სთქვა, რომ მთავრობა მეტად აჩქარებულად მოქმედებდაო. მხოლოდ ამის შემდეგ ილაპარაკა როზბერიმ სალიბერალო დასისა და თავის ამ დასთან დამოკიდებულების შესახებ. ორატორის აზრით სალიბერალო დასმა უნდა გადაათვალიეროს და გასწმინდოს თავისი პროგრამა. ხუთის წლის განმავლობაში, რაც ხანი მე პოლიტიკას განზედ ვდგექი, ბევრმა რამ იცვალა ფერი; განსაკუთრებით ირლანდიის საქმემ მიიღო სხვა სახე. ჰომრული დამარხულია. ირლანდიელებმა შესწყვიტეს კავშირი ლიბერალებთან, რაიცა სასარგებლოა როგორც ირლანდიელებისა, ისე ლიბერალებისათვის. მეორე მხრივ, კონსერვატიულ მთავრობის ირლანდიელმა პოლიტიკამ ფერი იცვალა. ირლანდიამ მიიღო ადგილობრივი თვით-მმართველობა, დემოკრატიულ საფუძველზედ დამყარებული, და ამ მხრივ გაუთანასწორდა შოტლანდიასა და უელსს. იგი უკეთესს მდგომარეობაშიაც არის, რადგანაც პარლამენტში უფრო მეტი წარმომადგენელი ჰყავს. ამ ბოლოს დროს ირლანდიელნი ინგლისისათვის სამტრო ტაქტიკას დაადგნენ: ირლანდიის წინამძღოლნი პირდაპირ ცხადეჰყოფენ, რომ ირლანდიელთა აჯანყება ინგლისის წინააღმდეგ აუცილებელიაო. იმის შემდეგ, რაც ირლანდიელები სამხრეთ-აფრიკის ომში ინგლისის მტრების მხარს იჭერდნენ ირლანდიელთა დამოუკიდებელი პარლამენტი ინგლისელთა ვერც ერთ დასის პროგრამაში ვერ იქმნება შეტანილი". ბოლოს ორატორმა გაჰკიცხა მთავრობა, ლოთობასთან საბრძოლველად არავითარი ზომები არ მიიღო, რის გამოც ინგლისში ძლიერ გამრავლდა დანაშაულობანიო. დასასრულ, როზბერიმ სთქვა, დიდ პატივსა ვცემ განსვენებულ გლადსტონსაო.

საზოგადოება აღტაცებით მიეგება ორატორის სიტყვას. რეზოლიუციაში კრებამ გამოსთქვა სიხარული როზბერის საპოლიტიკო ასპარეზზედ დაბრუნების გამო და იმედი, რომ ეს ფაქტი აღადგენს სალიბერალო დასის ერთობასაო.

ბელგია. 31 იანვარს ბელგიის პალატა შეუდგა საარჩევანო სისტემის რეფორმის განხილვას. საარჩევნო სისტემის რეფორმა, როგორც ვუწყით, სოციალისტებმა მოითხოვეს. მთავრობა დიდი წინააღმდეგია ამ რეფორმისა, თუმცა მცხოვრებთა უმრავლესობა სოციალისტების მხარესაა. პალატაში პირველად შინაგან საქმეთა მინისტრმა დე-ტროოზმა ილაპარაკა და სთქვა, რომ მთავრობა ვერ დასთანხმდება სოციალისტთა და რადიკალთა წინადადებას და ვერ გადაათვალიერებს კონსტიტუციის იმ ნაწილს, რომელიც საპარლამენტო საარჩევანო უფლებას შეეხებაო. სხვათა შორის, საბუთად მინისტრმა ის მოიყვანა, რომ ბელგიის საარჩევანო კანონი უფრო ლიბერალურია, ვიდრე სხვა სახელმწიფოების ასეთივე კანონი. მთავრობა თანასწორ საარჩევანო უფლებას ვერ შემოიღებს. ვერც კომუნებისა და პროვინციების ადგილობრივ გამგეობაშიო, სთქვა ბოლოს მინისტრმა. შემდეგ ილაპარაკა სოციალისტთა მეთაურმა ვანდერველდემ იმის შესახებ, რომ ქალებს საარჩევნო უფლება მიენიჭოთ. შეეხო იგი დღევანდელ უსამართლო საარჩევანო უფლებას. „განა უსამართლობა არ არის, 120 მუშას მხოლოდ 100 ხმის უფლება ჰქონდეს, სხვა პროფესიის 100 ამომრჩეველს-კი — 250 ხმის უფლებაო?"

ბელგიის მთავრობას ისე ეშინიან არეულობისა და აჯანყებებისა, რომ მთელ სახელმწიფოს ჟანდარმერიას თავს უყრის თურმე.

გასართობი.

ტკბილი ფიცი.

ქალაქის ერთს სასტუმროში მივიდა სომეხი ვაჭარი ბინის დასაჭერად. მოიკითხა ოთახი თუ არა, მაშინვე მგზავრთა აღსანიშნავად დავთარი დაუდეს ცხვირ-წინ, —თქვენი სახელი და გვარი ჩასწერეთო. აიღო თუ არა ვაჭარმა კალამი ხელში, შენიშნა, რომ დავთარზედ რაღაცა მწერი მიცოცავდა.

კალამი თავისსავე ადგილას დასდო.

— არა, მამავ, მე თქვენთან ვერ დავდგები!

— რავა, ბატონო, რა მიზეზით?

— მე თქვენი „გასტინიცა" არ მომწონს.

— იმე, საუკეთესო სასტუმრო გახლავთ, პირველ „სორტის"!

— რა სორტისაც უნდა იყოს, ხელს არ მამცემს.

— ბატონო, მთელი ქალაქი აქებს ჩვენს გასტინიცას და მაგი რავა გეკადრებათ, რომ უმიზეზოდ იწუნებთ.

— იქნება მთელი ქალაქიც აქებდეს, მაგრამ მე-კი არ მომწონს—ბუზიანია.

— ბატონო, გეფიცებით... ბუზი, აბა, არ შემჭამა ტურამ, არსად იყოს!..

— ვაა, ყურუმსაღ, ტყუილად რას მეფიცები, ბრმა ვარ განა?!.. ჯერ კალამი არ ამიღია ხელში გვარის დასაწერად და დავთარზედ ბადლინჯო მოცოცავს, რომ დახედოს და გაიგოს, რომელ ნომერში მიდის გრიქურაო. არა, ძმავ, წავალ, ისევ სხვა „გასტინიცას" ვნახავ...

ახ...

წერილი რედაქციის მიმართ.

ნება მიბოძეთ თქვენის პატივცემულ გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადო უაზნის ქართველ სტუდენტების მონდობილობით შემდეგ რედაქციებს „ივერიას", „კვალს", „ცნობის ფურცელს" — „მოამბეს", „მწყემს" და „Пастырь"-ს, რომლებიც 1901 წლის განმავლობაში უსასყიდლოდ ან დაკლებულის ფასით გვიგზავნიდნენ თავიანთ გამოცემას. ამათ გარდა უგულითადეს მადლობას ვუცხადებ ბ-ნს „უცნობს", რომელმაც თავის ხარჯით გამოგვიწერა 1902 წლის ჟურნალი „მოგზაური".

სტუდ. ონიფანტე გამზარდია.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

8 თებერვალი.

პეტერბურგი. გუშინ, 7 თებერვალს, ქართველთ თავად-აზნაურთა დეპუტაციას ბედნიერება ჰქონდა წარსდგენოდა მათ უმაღლესობას მარიამ პავლეს ასულს და ელენე ვლადიმირის ასულს. დიდმა მთავარმა დაწვრილებით გამოჰკითხა ამბავი დეპუტაციის თვითეულს წევრს და თან გაიხსენა თავისი ყოფნა კავკასიაში 1871 წელს. წარდგენის შემდეგ დეპუტაცია გაბედნიერებულ იქმნა და მიწვეული საუზმედ. ავგუსტოესის დიასახლისის მარჯვნივ იჯდა თავად-აზნაურობის საგუბერნიო წინამძღოლი თავადი მელიქიშვილი, მარცხნივ—გენერალ-ადიუტანტი თავადი ამილახვარი. საუზმის დროს მღეროდა ხორო მისის უდიდებულესობის მომღერალია. ავგუსტოესმა მასპინძელმა აიღო ჭიქა და ადღეგრძელა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობა, თან უსურვა აღყვავება საქართველოს, რომლის ძენი სარწმუნოებითა და სიმართლით ემსახურებოდნენ ასის წლის განმავლობაში სამეფო ტახტსა და სამშობლოს და რუსეთთან ერთად ჰღვრიდნენ სისხლს რუსეთის გაძლიერებისათვისაო. თავადმა მელიქიშვილმა გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა და ადღეგრძელა მათნი უმაღლესობანი, ავგუსტოესნი მასპინძელნი. საუზმის შემდეგ თავადმა მელიქიშვილმა განუმარტა მისს უმაღლესობას ისტორიული წარსული იმ სხვა-და-სხვა ტომისა, რომლის წარმომადგენელნი დახატულნი არიან 1856 წლის საკორონაციო ალბომში. საღამოზედ დეპუტაცია მიწვეული იყო სადილად გრაფ შერემეტევთან. სადილზედ ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელოს შემდეგ, რომელსაც ხანგრძლივი „ურას" ძახილი მოჰყვა და მღერა საერო საგალობლისა, წარმოთქმულ იქმნა დიდის გრძნობით მრავალი სადღეგრძელო და სიტყვა. მასპინძელთა გულუხვობას საზღვარი არა ჰქონდა. სადილი გათავდა ნაშუადღევის პირველ საათზედ.

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

პეტერბურგი. თებერვლის 7-ს სახელმწიფო საბჭოს წევრმა გრაფმა ს. დ. შერემეტევმა სადილი გაუმართა ქართველ თავად-აზნაურობის დეპუტაციას.

ფინანსთა სამინისტრო აცხადებს, რომ სპირტის დასაწმენდ ქარხნებში და ღვინის საწყობებში მუშები ამიერ ვალდებულნი იქნებიან იმუშაონ დღეში ათის საათის ნაცვლად ცხრა საათი.

იალტა. ძლიერმა ზღვის ღელვამ დააზიანა მოლი, რომელსაც ნავთ-სადგურში აშენებდნენ.

სევასტოპოლი. საურთიერთო ნდობის საზოგადოების წევრთა საგანგებო კრებას, რომელსაც უნდა განეხილა საქმე ასი ათასის მანეთის გამფლანგველის კასირისა, არავითარი განჩინება არ დაუდგენია; მეორე კრება დაინიშნა დღესათვის.

პეტერბურგისა და ვარშავის ბანკირებმა წარადგინეს ფინანსთა სამინისტროში პროექტი შიდ ხარისხოვანის ლატარიისა და ყოველ-წლიურად ორ მილიონ მანეთს ჰპირდებიან ხაზინას.

ბაქო. იმ ხმების გასამტყუნებლად, რომ ვითომც მდიდარნი ნავთის მწარმოებელნი არ ეწევიან შიმშილში დაზარალებულთ, ახლა იტყობინებიან, რომ ნავთის მრეწველმა ფირმებმა უკვე გაიღეს შეწირულებანი შიმშილთათვისო. იტყობინებიან აგრეთვე, რომ დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოოზის ძემ ავგუსტოესის შვილებითურთ შესწირეს შიმშილებს 3,000 მანეთიო.

პარიჟი. რუსეთის ელჩმა თავადმა ურუსოვმა გუშინ გამართა ოფიციალური სადილი, რომელსაც დაესწრნენ უმაღლესნი წარმომადგენელნი სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა და აგრეთვე საფრანგეთის არისტოკრატიისა.

9 თებერვალი.

მადრიდი. ბარსელონის გარდა დიდი უწესოებანი მოხდა აგრეთვე კატალონიის სხვა ადგილებშიაც. ჯართან შეტაკების დროს ბარსელონაში მოკლულ იქმნა 40 კაცზე მეტი; დაჭრილთა რიცხვი ჯერ ნამდვილად არ იციან. გენერალმა ვეილერმა სთქვა სენატში, რომ თუ საჭიროებამ მოითხოვა სათადარიგო ჯარი იქმნება გამოწვეულიო.

განჯა. მაზრის უფროსთა კრებაზედ განიხილეს, სხვა საგანთა შორის შემდეგნიც: რა წესი უნდა იქმნას შემოღებული, რომ ზედმიწევნით შეიძლებოდეს შეტყობა მამულების რაოდენობისა, თვისებისა და შემოსავლისა, რა წესით უნდა იქმნას გაწერილი მცხოვრებელთა შორის საადგილ-მამულო გარდასახადი და აგრეთვე ისეთი რა ნაირი ადვილ-გასაგები ანგარიშთ-წარმოება შემოიღონ გარდასახადებისათვის, რომ უსწავლელი ხალხი დაიცვან ზოკების მონავეობისაგან. ამ საგნების განხილვას დაესწრნენ საგანგებოდ მოსულნი ერევნის სახაზინო პალატის მმართველი, ერევნის გადასახადთა ინსპექტორი და განჯის გუბერნიის გარდასახადთა ინსპექტორები. აუცილებელ საჭიროებად სცნეს, შესრულონ გლეხთა სურვილი, რომელთაც უნდათ, რომ მათი მიწები ადგილობრივმა მზომელებმა დაზომონ. ეს დაზომვა უნდა მოხდეს ხოლმე ადმინისტრაციის მოხელეების ზედა-მხედველობით. ანგარიშთ-წარმოებას შემოიღებენ სკიბინსკის სისტემისას ცოტაოდენის ცვლილებით.

სოხუმი. „დიდი მთავრინა ქსენიას" გემით აქ მობრძანდა პრინცესსა ევგენია მაქსიმილიანეს ასული ოლდენბურგისა. მისი უმაღლესობა ხვალ წავა გაგრაში.

პეტერბურგი. „საეკლესიო უწყებაში" დაბეჭდილია, უწმინდესის სინოდის სამოსწავლო საბჭოს დადგენილება, რომლითაც ნება ეძლევათ უწმიდესის სინოდის ხელ-ქვეითს სასწავლებლებს პატივი სცენ გოგოლისა და ჟუკოვსკის ხსოვნას იმ წესით, რაც დადგენილია ამ შემთხვევისათვის.

რომი. სამინისტრომ სამსახურიდგან დათხოვნის ქაღალდი შეიტანა.

განცხადება

სომეხთა ნერსესიან სასულიერო სემინარიის სამზრუნველო საბჭოში

ამა წლის 13 თებერვალს, საღამოს 8 საათზედ, მოხდება მესამედ საჯარო ვაჭრობა, რომელზედაც იჯარით გაიცემა ოთხის წლის ვადით 1902 წლის 13 თებერვლიდგან დაწყებული ქალაქის მერვე ნაწილს, რიყეზედ არსებული სემინარიის საკუთარი შენობა ტრაქტირისათვის ბაკითურთ.

პირობების გასინჯვა შეიძლება სამზრუნველოს კანცელარიაში ყოველ დღე, კვირა უქმეებს გარდა, 10-დგან 1 საათამდე.

(2—284—2)

GRAND PRIX
PARIS 1900.
Т-во Высшей парфюмеріи
А. Ралле и К-о
Парфюмерія
Золотая нива
РАЛЛЕ.

განცხადება.

15 თებერვალს, დღის 12 საათზედ, ს. ასკანაში, ასკანის სკოლის დარბაზში დანიშნულია საზოგადო წლიური კრება ასკანის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის წევრთა. განსახილველია შემდეგი კითხვები:

1. განხილვა და დამტკიცება 1901 წლის ანგარიშისა, 2. ახალ წევრთა მიღება, 3. არჩევა მუდმივ მზრუნველისა, 4. არჩევა სამის გამგეობის წევრისა და ორის მათის კანდიდატისა, 5. არჩევა ექვსის საბჭოს წევრისა და სამის მათის კანდიდატისა, 6. სესხის აღება სახელმწიფო ბანკისაგან. (3—6.—3).

მკურნალი

ნ. ტ. მულინი.

იღებს ყურით, ყელით და ცხვირით ავადმყოფებს ყოველ-დღე ნაშუადღევის 1—3 საათამდე და საღამოს 4—8-მდე. სუდებნი 18. (წლ.)

გაფრთხილება

ფაბრიკის ნიშანი

ФАБРИЧ. ЗНАК. Н. И. ТАБАЧНАЯ ФАБРИКА ВЪ ТИФЛИСѢ Н. И. БОЗАРДЖIАНЦА 1858.

ფაბრიკის ნიშანი

თამბაქოს ფაბრიკისაგან ნ. ი. ბოზარჯიანცისა შვილებითურთ ტფილისში. ამ ბოლო ხანს გამოვიდა გასასყიდათ ისეთი

პაპიროსები,

რომლებიც გარეგანი შეხედულობით ძრიელ წააგავს ჩვენის ფირმისას, აწყვია ისეთივე ზომის კოლოფებში, ისეთივე ზედ-წარწერით ანუ შრიფტით და იგივე ფერის იარლიკით, რომელიც დიდი ხანია შემოღებული აქვს ჩვენს ფირმას და დიდათ გავრცელებული არის.

ყოველივე შეცდომის ასაშორებლად,

ჩვენ საჭიროდ ვსცანით და დავადგინეთ ჩვენსავე ეტიკეტზედ განსაკუთრებითი ნიშანი. რომელიც ნება-დართულია უმაღლესი მთავრობისაგან; და ვინც ჩვენის ფაბრიკის მსგავსს ნიშანს გამოსცემს, ისინი დაისჯებიან კანონის ძალით. ვსთხოვ ჩვენის ფირმის პაპიროსების მხმარებელთ, განსაკუთრებითი ყურადღება მიაქციონ ფაბრიკის ნიშანს და ზედ წარწერას

Н. И. БОЗАРДЖIАНЦЪ С-ми.

(10—282—2)

САРАТОВСКIЯ САРПИНКИ

НА ЛѢТО 1902 ГОДА

Легкая, изящная ткань для платьевъ и бѣлья

265 образцовъ въ альбомѣ

ВЫСЫЛАЮТСЯ БЕЗПЛАТНО

Торговый домъ

АНДРЕЙ БЕНДЕРЪ И СЫНОВЬЯ

Москва, Ильинка.

Продажа оптомъ и въ розницу.

4378 (3—3).

Дозвол. цензурою. Тифлисъ 9-го Февраля 1902 г. გაზეთ „ტფილისის ფურცლისა" და ექვ. ხელაძის სტამბა ლორ.-მელ. ქუჩა. დროებითი რედაქტორი ა. სარაჯიშვილი გამომცემელი ჟამჟამაძე